ეროვნული თავისუფლების გზით – აბრეშუმის თავისუფლებისაკენ!
აბრეშუმის თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 8 (1409) | 16 - 23 მარტი, 1995 წ.

## დეპუტატ დავით ბერძენიშვილს ნამდვილად ჰქონია ჩაფიქრებული ტერორი ბატონ ასლან აბაშიძის სიცოცხლის ხელყოფისათვის, ანუ გველი უბეში

### შტრიხები ერთი ტერორისტის პორტრეტისათვის

იხილეთ მეორე გვერდზე.

## შვიდი დღე, რომელმაც ვერ შეძრა ქვეყანა

### ქართული ქრონიკა

3 მარტი. ქ. რუსთავის მერიას თავს დაესხა მაშველთა კორპუსის წევრების შეიარაღებული რაზმი (დაახ. 150—200 კაცი), თავდამსხმელებმა ალყა შემოარტყეს შენობას. შემდეგ რამდენიმე მათგანი შეიჭრა ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის, ლევან მამალაძის კაბინეტში. ერთ-ერთი მცველი დაჭრეს, თვით მამალაძეს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავი გაუტეხეს. თავდამსხმელთა შორის იყვნენ საქართველოს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი და სახელმწიფო უშიშროების თავმჯდომარის პირველი მოადგილე თემურ ხაჩიშვილი.

4 მარტი. სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ქვემო ქართლის სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მკაცრი შეფასება მისცა ინციდენტს. აღინიშნა „მხედრიონელთა" დამსახურება ქვეყნის წინაშე. მაგრამ იქვე ითქვა, რომ რაც მოხდა, იმის პატიება არ შეიძლება: „მომხდარ ფაქტს მე განვიხილავ, როგორც სახელმწიფოს მეთაურზე, მის სტრუქტურებზე თავდასხმას" — განაცხადა შევარდნაძემ. სიტყვით გამოვიდა „დაზარალებული" მამალაძეც. „თუ ამ აქციის ორგანიზატორები მკაცრად არ დაისჯებიან, — თქვა მან, — მე უაზროდ და გაუმართლებლად მიმაჩნია ამ თანამდებობაზე დარჩენა".

5 მარტი. ქვეყნდება საქართველოს მოქალაქეთა კავშირის განცხადება, სადაც

გაგრძელება მე-2 გვ.




მ. აბაშიძის ნახატი

## ტრაგი-კომედია საქართველოში

### ნოდარ გრიგალაშვილი

#### პროლოგის მაგიერ

— ეს არის შოუ! — იტყვის ერთი.

— ეს არ არის შოუ, ეს არის დრამა! — გაცხარდება მეორე.

არა, თეატრისმცოდნეები არ ეკამათებიან ერთმანეთს, არც ყოვლისმცოდნე დამწყები ფილოლოგოსები წიწმატობენ, რომელთაც სჩვევიათ ერთი მოვლენის რადიკალურად განსხვავებული პოზიციებიდან, ურთიერთგამომრიცხავი დასკვნებით შეფასება.

ლაპარაკი არ არის კომედიაზე, რომელიც ოდესღაც არისტოფანეს დაუწერია.

ლაპარაკი არ არის ტრაგედიაზე, რომელზე მსჯელობითაც მეორეკურსელი სტუდენტი თავს ამადლებს პირველკურსელს ევრიპიდეს ცოდნით...

საუბარი არ არის თეორიულ იწილო-ბიწილოზე.

საუბარია სისხლზე, ცემა-ტყეპაზე, ქალაქში 150 შეიარაღებული კაცის შეჭრაზე, მთელი იმ მხარის გუბერნატორისათვის თავის გადაჩეხვაზე, ხალხის შეშინება-შეძრწუნებაზე და ამისთანა ამბებზე. აი, ამ ფაქტის შეფასებაზე ვერ შეთანხმებულან...

— ეს არის დრამა — ამბობს სახელმწიფოს მეთაური, ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

— ეს არის ჩვენი ყოფის ტრაგიზმი და ჩვენი ცხოვრება ტრაგიკულ მოვლენებში — ფიქრობს შიშიანობით პირშიენაჩაგდებული რიგითი მოქალაქე.

— ბუნტია, ვეჟო, მა რა ჯანდაბაა — იტყოდა ქვემო ქართლის ოდინდელი პატრონი, ცხონებული ზაალ ბარათაშვილი, რომლის შორეულ ნაცვალს, მამალაძეს ისევე მიეჭრა მაშველთა კორპუსი კაბინეტში, როგორც თავად მას მიუხტა სასახლეში არსენა ოძელაშვილი ტყის ძმებითურთ.

ერთადერთი, ვინც სამ და ოთხ მარტს რუსთავში დატრიალებულ ამბებს შოუ უწოდა, იყო თემურ ხაჩიშვილი, მაშველთა კორპუსის ერთ-ერთი წონიანი ფიგურა, უშიშროების მინისტრის მოადგილე.

სწორედ ამან ალაშფოთა სახელმწიფოს მეთაური და თქვა — თუ ეს შოუა, მე ამ შოუში მონაწილეობას არ მივიღებ. ეს არ არის შოუ, ეს არის დრამაო.

უშიშროების მინისტრის მოადგილის გამოსვლამ ალაშფოთა ტელემაყურებელი, მაგრამ...

მაგრამ ხაჩიშვილი მართალი გამოდგა.

სამწუხაროდ, საქართველოში ტრაგედია შეიძლება იქცეს შოუდ, ხოლო შოუ გადაიზარდოს ნამდვილ ტრაგედიაში.

მემატიანე 90-იანი წლების საქართველოს ალბათ უწოდებს პარადოქსების ქვეყანას.

ქვეყანას, რომელიც ტრაგი-კომიკური სიუჟეტების დიდი ფიცარნაგია.

გაგრძელება მე-4 გვ.

# შტრიხები ერთი ტერორისტის პორტრეტისათვის

გაზეთ „კავკასიონის“ 1995 წ. 13 მარტის ნომერში გამოქვეყნდა სკანდალური პუბლიკაცია: „ჯალათი თუ დაქირავებული მკვლელი?“ როგორც ირკვევა, 10 მარტს, ბათუმში, საინფორმაციო სააგენტო „აჭარას“ დაარსებასთან დაკავშირებით გამართულ პრეს-კონფერენციაზე აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაპატიმრებულია ვინმე საითიძე, რომელსაც პირადად ჰქონდა დავალებული ბ-ნი ასლანის მოკვლა. დასახელებული იქნა მკვლელობის ორგანიზატორებიც. აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, პოლკოვნიკი ვაჟა შანიძე და საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი — დავით ბერძენიშვილი.

რამდენადაც ბ-ნი ბერძენიშვილი გაზეთ „საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრიც გახლავთ, ბუნებრივია ჩვენი დაინტერესება ამ მართლაცდა სენსაციური ინფორმაციით. რედაქციაში არ წყდება აღშფოთებულ მოქალაქეთა ტელეფონის ზარები, ასევე მივიღეთ საპროტესტო განცხადებაც ქობულეთის ყოფილ მე-4 სამმართველოს სანატორიუმიდან, რომელიც დაწერილია რესტორან „გემოში“ და ხელს აწერენ შაშო ვერელის სახელობის ფალავანთა კლუბი, ნესტორ ესებუას საზოგადოება და კულა გლდანელის ფონდი. ხელისმომწერნი გვამცნობენ, რომ თუ რედაქცია დაუყოვნებლივ არ მოახდენს სათანადო რეაგირებას ამ ფაქტზე, ისინი ბოიკოტს გამოუცხადებენ გაზეთს. განცხადებას უერთდება „სრულიად საქართველოს ლიტერატურული აღორძინების კავშირიც“.

რედაქცია გულგრილი ვერ დარჩებოდა საზოგადოებრივი აზრის ასეთი ერთსულოვანი რეაქციის მიმართ. ჩატარდა დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება. მოკვლევის შედეგად გამომჟღავნდა კიდევ უფრო სენსაციური და სკანდალური ფაქტები: ქვემოთ გთავაზობთ მოკვლეული მასალის მიხედვით რამოდენიმე ეპიზოდს პარლამენტის დეპუტატის ცხოვრებიდან.

* * *

დავით ვალერიანის ძე ბერძენიშვილი დაიბადა 1962 წელს, ქ. ბათუმში, აგრესიული მიდრეკილებანი როგორც უსულო საგნების, ისე ყველა ჯურის ცოცხალი არსების მიმართ მას ბავშვობიდანვე ახასიათებდა. როგორც მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, პატარა დათოს მუდამ „ლაგატკა“ ეჭირა ხელში და განუზომელ სიამოვნებას ანიჭებდა უწყინარი ჩიტების ჟლეტა და მშვიდობიან მოქალაქეთა ფანჯრების ლაწა-ლუწი. ასევე საყოველთაოდ დადგენილ-დაწესებულ ნორმათა დარღვევით გამოირჩეოდა დ.ვ. ბერძენიშვილი სკოლაშიც. უადგილო შეკითხვებით აწუხებდა მასწავლებლებს და ხელს უშლიდა პედაგოგიური კოლექტივის გეგმაზომიერ მუშაობას. ღირსშესანიშნავი ფაქტი: ერთხელ მოსწ. ბერძენიშვილი ისტორიის მასწავლებელმა კლასიდან გააძევა რეპლიკისათვის, რომლითაც ბერძენიშვილმა იულიუს კეისარის მკვლელობა შეაფასა: „Раньше надо было с ним кончать...“

სკოლის დამთავრების შემდეგ დ. ბერძენიშვილმა თსუ ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. უნივერსიტეტის კედლებში ბერძენიშვილის მადესტაბილიზებელმა „მოღვაწეობამ“ ახალი ძალით გაშალა ფრთები. იმის ნაცვლად, რომ კეთილსინდისიერად ეკონსპექტებინა სკკპ (ბ) პარტიის ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის ლექციათა კურსი, თავის თანამზრახველ ვახტანგ ძაბირაძესთან (ამჟამად პარლამენტის დეპუტატი, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი) ერთად ჩამოაყალიბა ე.წ. „რესპუბლიკური პარტია“ და აქტიურად მიჰყო ხელი პროვოკაციული შინაარსის პროკლამაციების გავრცელებას. პროკლამაციებში შეინიშნებოდა დაუფარავი სეპარატისტული მისწრაფებები, ე.წ. „დამოუკიდებელი საქართველოს“ ლოზუნგით... სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ი) ოპერატიული ღონისძიების წყალობით, 1983 წელს ბერძენიშვილ-ძაბირაძის ჯგუფის ძირგამომთხრელი საქმიანობა დროულად იქნა აღკვეთილი. სასამართლომ მას ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში მოხდით. შეეძლოთ მეტიც მიესაჯათ, რაღა თქმა უნდა, მაგრამ დაინდეს ახალგაზრდა კაცი, იფიქრეს, გონს მოეგებოდა, არადა ყველაფერი პირიქით მოხდა.

ცნობილია, რომ ციხეში, როგორც წისქვილში, ფიქრისთვის დრო თავზე საყრელადაა. ბერძენიშვილმაც იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა ტერორისტის რთული და საინტერესო პროფესია აერჩია. იგი დარწმუნდა, რომ ტერორისტობა მისი მოწოდებაა და მთელი წარსული ცხოვრება ფაქტიურად ამ გადაწყვეტილებისთვის ემზადებოდა...

სასჯელის მოხდის შემდეგ მოქ. ბერძენიშვილი აქტიურად ერთვება ე.წ. „ეროვნულ მოძრაობაში“. აქედანვე იწყება მის მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქციათა მთელი

გაგრძელება მე-8 გვ.

# შვიდი დღე, რომელმაც ვერ შეძრა ქვეყანა

პირველი გვერდიდან

რუსთავის ინციდენტის შესახებ ნათქვამია, რომ „ეს უკანასკნელი გამოირჩევა განსაკუთრებული ცინიზმით, როცა ორგანიზატორები აღარც მალავენ საკუთარ ვინაობას. პირდაპირ აფიქსირებენ, თუ ვის ხელშია რეალური ძალაუფლება საქართველოში. მოქალაქეები მოითხოვენ ყველა შესაბამისი „უწყებისგან დაუყოვნებლივ და ადეკვატურ რეაგირებას, ორგანიზატორთა დაკავებას და გადაცემას სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მაშველთა კორპუსის [illegible] სახით არსებობის მიზანშეწონილობის გადახედვას“.

6 მარტი. ტრადიციულ რადიოინტერვიუში სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ 3 მარტის მოვლენებთან დაკავშირებით „აღძრულია სისხლის სამართლის საქმე... პოლიტიკის კრიმინალიზაცია და კრიმინალის პოლიტიზაცია დამღუპველია სახელმწიფოსთვის. საჭიროა ზარების შემოკვრა ყველას გასაგონად“. შევარდნაძე [illegible], რომ [illegible] მეგობრის შვილი, ლაშა [illegible] და იმედისმომცემი ახალგაზრდა მოღვაწე, დავით მაღრაძე, რომელიც თავს „მხედრიონელად“ თვლის, საჯაროდ გამოვლენ და გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას მომხდარი ფაქტის მიმართ...

იმავე დღეს, ხანძარი გაუჩნდა რეზო თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე მაშველთა კორპუსის შენობას. მთაწმინდის რაიონის პოლიციის ცნობით ხანძარი გამოიწვია ელექტროგაყვანილობის დაზიანებამ.

საღამოს 11 სთ. 30 წთ-ზე, რუსთავის მაშველთა კორპუსის შტაბში მოხდა აფეთქება. დაიღუპა ორი და დაიჭრა ერთი ადამიანი.

7 მარტი. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ვიცე-სპიკერის, ვახტანგ რჩეულიშვილის ინიციატივით მოიწვიეს ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელები, რათა დეპუტატებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია რუსთავის ინციდენტის შესახებ, მაგრამ პარლამენტარებმა ფაქტიურად არ ისურვეს მათი მოსმენა. დომინირებდა აზრი (განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან), რომ „პარლამენტი სასამართლო არ არის“ და აქ „საქმის გარჩევას“ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სხდომას ესწრებოდა ლევან მამალაძეც, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მის მიერ ქვემო ქართლში გატარებულ ღონისძიებებზე კრიმინოგენული სიტუაციის გაჯანსაღების მიზნით. აღნიშნა, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებდა, შეთანხმებული იყო სახელმწიფოს მეთაურთან, რაც შეეხება თავდასხმას, მამალაძის აზრით, „ეს იყო რაღაცის დემონსტრირება, ჩემს მიმართ დემონსტრირება არც არის საჭირო“. „რესპუბლიკელთა“ ფრაქციის წევრი, აკაკი ბობოხიძე დაინტერესდა, თუ რატომ არ ესწრება [illegible] ედუარდ შევარდნაძე და დასძინა, რომ ამ ინციდენტის შეფასებაში სახელმწიფოს მეთაურმა საპარლამენტო უმრავლესობის თანადგომის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ როგორც ჩანს, შევარდნაძე ამჯობინებს ისევ „სხვისი ხელით [illegible]“ და ამიტომ ვერც [illegible]ზიციისგან მიიღებს მხარდაჭერას. სხდომა დასრულდა ვიცე-სპიკერის, ვახტანგ რჩეულიშვილის ემოციური გამოსვლით; მან უსაყვედურა ოპოზიციას, რომ ისინი „შევარდნაძის ჯიბრზე“ უგულებელყოფენ სახელმწიფო ინტერესებს. ბანდიტიზმის თარეში აუტანელი გახდა და ამ საკითხში ყველა ერთსულოვანი უნდა იყოს. შევარდნაძე მარტოდმარტო იბრძვის [illegible] დასაცავად, [illegible] შეშლისა და ნერვების [illegible] მეტს არაფერს [illegible]... ამ დროს დარბაზში შემოვიდა ჯაბა იოსელიანი და ვიცე-სპიკერმა გაიხსენა „მხედრიონელთა“ [illegible], აღნიშნა, რომ მხოლოდ „მხედრიონზე“ ჯოხის გადატეხვა არ შეიძლება, კანონის წინაშე ყველამ ერთნაირად უნდა აგოს პასუხი. უამრავი „მხედრიონელი“ იარაღის უნებართვოდ ტარებისთვის ციხეში ზის, ირაკლი წერეთელი კი ასევე უკანონოდ [illegible] იარაღს და რადგან დეპუტატია, ხელი ვერ ახლეს. ხელისუფლება [illegible] დაადგა [illegible] [illegible] [illegible] პარლამენტო უმრავლესობის შეკრებაზე. შევარდნაძემ [illegible] 3 მარტის ინციდენტზე პასუხისმგებელი პირების დასჯა. [illegible] მიღებულია პრაქტიკული ზომებიც: [illegible] მდებობიდან განთავისუფლდნენ ქ. რუსთავის პროკურორი და პოლიციის უფროსი. წესრიგის განმტკიცების პროცესი — შეუქცევადი პროცესია. „ამაზე ვდგავართ, ამაზე ვიდგებით და ამ გზიდან არ გადავუხვევთ“, ხაზგასმით განაცხადა რჩეულიშვილმა.

8 მარტი. გამოქვეყნდა საქართველოს მაშველთა კორპუსის პრეს-ცენტრის განცხადება; რუსთავის შტაბ-ბინაში მომხდარი აფეთქება შეფასდა, როგორც „პოლიტიკურ-ტერორისტული“ აქტი.

9 მარტი. ჭადრაკის სასახლეში იმართება მაშველთა კორპუსის პრეს-კონფერენცია. დამსწრე საზოგადოებას გააცნეს გიგა გელაშვილისა და ლევან მამალაძის ერთობლივი განცხადება. მოგვყავს განცხადების ტექსტი:

„საქართველოს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის გიგა გელაშვილისა და ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლევან მამალაძის ერთობლივი

## განცხადება

როგორც მაშველთა კორპუსი, ასევე სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ინსტიტუტი დღეს ჩამოყალიბების ურთულეს პროცესშია და თავად ქართული სახელმწიფოებრიობისთვის აუცილებელი სახელმწიფო სტრუქტურების მსგავსად, მძიმედ, მაგრამ მაინც იმკვიდრებს საკუთარ სახეს და დანიშნულებას. ეს პროცესი წარმოუდგენელია ფართო საზოგადოების, პოლიტიკური ძალების, საქართველოს მთელი მოსახლეობის ინტერესებისა და ჭირ-ვარამის გაუთვალისწინებლად.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ვაცხადებთ, რომ ჩვენი მხრიდან არ დავუშვებთ 1995 წლის 3 მარტს რუსთავში მომხდარი ფაქტის პოლიტიზაციას და ორი სახელმწიფო სტრუქტურის დაპირისპირებას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში გახდებოდა საქართველოში კიდევ ერთი დესტაბილიზაციის წყარო.

ამავე დროს სახელმწიფო ინტერესების დაცვისკენ მოწოდებული ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა უნდა მოქმედებდეს ურთიერთშეთანხმებულად და კოორდინირებულად. სწორედ აქეთ იქნება მიმართული ჩვენი ძალები და მონდომება.

გ. გელაშვილი
ლ. მამალაძე

დასასრულ, მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა ჟურნალისტებს, პოლიტიკურ პარტიებს თავი შეიკავონ წინასწარი განცხადებებისაგან, რათა დაცული იყოს უდანაშაულობის პრეზუმპცია.

რეპლიკა

# ასლი დედანთან სწორია!

ჟურნალ „რელიგიის“ მთავარმა რედაქტორმა ვიქტორ რცხილაძემ, მისი მხრიდან ჩვენი გაგრძელებული პოლემიკის — მაცხოვარზე გამოთქმული ერთი აზრის შეფასების ბოლო რაუნდში (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №4, 1995) პირობა დადო, რომ ჩემთან კამათს აღარ გააგრძელებდა. სამაგიეროდ, როცა სადავო საკითხებთან დაკავშირებით ბოლომდე იქნა ნაჩვენები ვ. რცხილაძის დილეტანტიზმი (იხ. ჩემი „როცა დილეტანტიზმი ნავარდობს“, გაზეთი „საქართველო“, №5, 1995 წ.) მისი დაცვა ითავა ამირან ყუფარაძემ, რომლის წერილის სათაურიდანაც უკვე ცხადად ჩანს თუ ვისთან გვაქვს საქმე (იხ. მისი „უმეცრებისა და თავხედობის ნაზავი“, „ლ.ს.“, №9, მარტი, 1995). ამ წერილში, ისე როგორც ვ. რცხილაძის პუბლიკაციებში, სახეზეა ამბიციურობა, ამპარტავნობა, დილეტანტიზმი...

მართალია, დილეტანტიზმისა და სხვა მსგავსი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ბოლომდე საჭიროა, მაგრამ ა. ყუფარაძის ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში გატარებულ „აზრებზე“ ახალ პოლემიკას ვერ წამოვიწყებთ იმ უბრალო მიზეზით, რომ მათში დილეტანტიზმის დონეც აღარაა. რაც შეეხება ქუჩურ გამოხდომებსა და ლანძღვა-გინებათა კორიანტელს, რაც ასე უხვადაა რცხილაძე-ყუფარაძის წერილებში, ჩემთვის სრულიად უცხოა და ამ მიმართებით ასპარეზი მათთვის დამითმია.

რცხილაძე-ყუფარაძის დუეტმა კი უნდა უწყოდეს, რომ კაცი შეიძლება მოკლებული იყოს მეცნიერული კვლევა-ძიების უნარს, პოლემიკის ხერხებს, უბრალოდ, კამათის კულტურას, მაგრამ ელემენტარული ზრდილობა ყველა ნორმალურ ადამიანს მოეთხოვება. სხვა თუ არაფერი, კამათში იმდენი უნდა შესძლო, რომ ოპონენტისადმი გათვალისწინებული, წერილის სათაურში გამოტანილი სალანძღავი სიტყვების დემონსტრაცია შენი მხრიდან ამავე წერილში მაინც აიცილო.

შეიძლებოდა აქ დაგვესვა წერტილი რეპლიკისათვის, მაგრამ – მაგრამ არის ერთი მომენტი, კერძოდ, ა. ყუფარაძის ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილი თავისი ზერელობით, მასში გატარებული „აზრებით“, ლექსიკონითა და წერის მანერით როგორც ასლი დედანთან, ისე ჰგავს ვ. რცხილაძის ადრინდელ პუბლიკაციებს. საინტერესოა ისიც, რომ ნეიტრალური კაცი ასე როგორაა ჩახედული ჩვენი პოლემიკის ნიუანსებში და რაც მთავარია — ასე როგორ ემთხვევა ერთმანეთს ვ. რცხილაძისა და მისი „აპეკუნის“ დილეტანტური წიაღსვლები

და ვითარების გამრუდების მცდელობა სადავო საკითხებთან დაკავშირებით.

მოკლედ, ა. ყუფარაძის სახელს ამოფარებული ვ.რცხილაძე ხომ არ იცავს თავისთავს და ხომ არაა ა. ყუფარაძე ვ. რცხილაძე? თუ ეს ასეა, მაშინ კომენტარის გარეშეც ცხადია თუ ვისთან მქონია საქმე და ვისთან კამათში დამიკარგავს დრო.

მიხეილ მახარაძე

# სიტყვა, თქმული იბერლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ცენტრალურ სამრეწველო კომპლექსში მომხდარი ინციდენტის გამო რეგიონალური აქტივის გაფართოებულ სხდომაზე

რუსთავის ცნობილი ინციდენტის შესახებ წერა, ცოტა არ იყოს საფრთხილო საქმეა, მითუმეტეს, ჯერ კიდევ არაა ზუსტად ცნობილი ამ ინციდენტის კონკრეტული მიზეზები. ერთი კი ცხადია: თუ არაფერს იტყვი, ან მარტო მშრალი ინფორმაციით შემოიფარგლები — იფიქრებენ, შეეშინდათ ხმის ამოღებაო. მოკლედ, სახელი გაგიტყდება. არადა შენი ნათქვამი თუ ვიღაცას არ მოეწონა, შეიძლება თავი გაგიტეხონ (ცუდი მაგალითი, როგორც ვიცით, გადამდებია). ამ შემთხვევაში ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, თუ ერთხაც აცდები და მეორესაც. აქ კი მხოლოდ იუმორის გრძნობა თუ გიშველის კაცს. მართალია, სახაცილოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე, მაგრამ ხულხან-საბას ერთი იგავისა არ იყოს, როცა არც ჩხუბით არაფერი გამოდის და არც ტკბილი სიტყვით, ისღა დაგრჩენია „თავი სიცილსა მისცე".

— **ძალიან** მიჭირს ახლა აქ დგომა და ამ საკითხზე ლაპარაკი. მოხდა შემზარავი ფაქტი... შემზარავი. გუშინ, კომპლექსის ტერიტორიაზე შემოიჭრა ორასამდე შეიარაღებული კაცი, ალყა შემოარტყეს გუბერნატორის რეზიდენციას. მერე შევარდნენ შიგნით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს იქ მყოფ პირებს, თვით გუბერნატორს კი თავი გაუტეხეს... საშინელებაა ეს... საშინელება... და ყველაზე მეტად ის მტკენს გულს, რომ როგორც მითხრეს, ამ ბარბაროსულ დარბევას ხელმძღვანელობდნენ სახანძრო მომსახურების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფო საიდუმლოებათა მინისტრის მოადგილე. ისიც ყოფილი მეხანძრეა. თქვენ იცით, რა დამოკიდებულება მაქვს მე მეხანძრეებთან. ეს ხალხი, ვაღიარებ, ჩემი სისუსტეა, რამდენჯერ ცდილან ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდებას, მეუბნებოდნენ: იქაურობა ბანდიტებითაა სავსეო, ყველა კომერციულ სტრუქტურას წილში უდგებიან და ფულს ძალავენო, მოკლედ, რას არ იტყვის ხალხი. ყველაზე მეტს ისინი ლაპარაკობენ, ომის დროს საზღვარგარეთ რომ დასეირნობდნენ კურორტებზე, ეს ბიჭები კიდევ წინა ხაზზე იბრძოდნენ. მაგრამ წარსულის დამსახურება არავის აძლევს იმის უფლებას, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება ჩაიდინოს. ხომ იცით, მე თვითონ დავამტკიცე მოხალისე მეხანძრეთა ლეგიონი — სახელმწიფო სტრუქტურად. დეპარტამენტის სტატუსი მივეცი. მაგრამ თუ გუშინდელის მსგავსი გამეორდა, არ დავინდობ. ჩემს შვილს არ დავინდობ, ასეთ რამეს თუ გააკეთებს, როგორც დავამტკიცე ეს სტრუქტურა, ისევე დავშლი. მარტო მაგათ კი არა, პოლიციასაც დავშლი, თუ ვერ იმუშავებენ კარგად, ჯარსაც დავშლი და პარლამენტსაც მივაყოლებ ზედ... თქვენ გგონიათ არ შემიძლია? მაგრამ მერე ივარგებს ასე? არა, რა თქმა უნდა, იმიტომ რომ დემოკრატია ჩვენი მონაპოვარია. სხვათაშორის, სწორედ ამ ბიჭებმა მოგვიტანეს ეს დემოკრატია დღეს რომ გვაქვს... დიახ, მეხანძრეები არ ყოფილიყვნენ, მე ახლა აქ არ ვიდგებოდი... მაგრამ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება. უნდა დაიხვეწოს სტრუქტურა: აღირიცხოს სახანძრო სამსახურის პირადი შემადგენლობა, ინვენტარი, იარაღი. სად რამდენი ავტომატია, რამდენი ტანკი, ქვემეხი, ბომბდამშენი და წყალქვეშა ნავი... მოკლედ, ყველაფერი უნდა აღიწეროს და მოხსენდეს რესპუბლიკის პრეზიდენტს, თავდაცვის მინისტრს, გენერალურ პროკურორს... სხვანაირად არაფერი გამოვა... მერე ყველა ერთად დავჯდებით და ვიმსჯელებთ.

მაინც რა მოხდა გუშინ და რატომ მოხდა? თქვენ იცით, ამ რეგიონის გუბერნატორად დავნიშნე ახალგაზრდა კაცი. ხშირად მსაყვედურობენ, ძველი კადრები ჰყავსო. თქვენ გგონიათ ადვილი საპოვნელია ისეთი ახალგაზრდა, თან ჩემს პოლიტიკურ კურს ბოლომდე ეთანხმებოდეს, და თან არც ნაძირალა იყოს და არც სულელი? სანთლით, ვეძებ ასეთ ხალხს... ჰოდა, დავნიშნე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. დამერწმუნებით, კარგად დაიწყო მუშაობა, ენერგიულად. დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა კრიმინალურ ელემენტებს. განდევნა ისინი ბაზრის ტერიტორიიდან, ხაზინაში ფულმა დაიწყო შემოსვლა. აი, ეს ვერ აპატიეს... ამ დროს რას შვრებიან ისინი, ვინც წესით მხარში უნდა ედგეს ახალგაზრდა გუბერნატორს? მეხანძრეებს ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა, ხომ გახსოვთ თავის დროზე სახანძრო დეპარტამენტის დამტკიცებას ამ ბიჭმაც რომ მისცა ხმა? იმათ კიდევ მადლობის მაგივრად იმდენი ურტყეს, კინაღამ მიასიკვდილეს ყმაწვილი კაცი... თანამდებობის პირი.



მ. აბაშიძის ნახატი

აღარ შეიძლება ასე. ამას ბოლო უნდა მოეღოს. მე ბრმა კი არა ვარ, ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს ვამჩნევ: ჯერ იყო და ერთ-ორ დეპუტატს წაუთაქეს; ვიფიქრე, არა უშავს, მაინც ოპოზი-

დასასრული მე-6 გვ.

# გაზეთ „სამრეკლოს" რედაქტორს

ბატონო რედაქტორო, „გაზეთ „სამრეკლოს" 7-14 მარტის ნომერში ჩემი მისამართით თქვენ ბრძანებთ: „თქვენ არ იყავით, ქუჩა-ქუჩა რომ დაძრწოდით, გამსახურდიამ სამოცი ახალგაზრდა ამოწყვიტა შავნაბადაზეო. რატომ ავრცელებდით ამ მკრეხელურ ჭორს..."

ეს არ არის მართალი.

სიმართლე შემდეგია:

ხალხმრავალ მიტინგზე, ტელევიზიის შენობის წინ, გამოვიდა თენგიზ კიტოვანი და თქვა: ბესიკ ქუთათელაძემ შავნაბადა აიღო და ამ აღების პროცესში 60 გვარდიელი დახოცაო.

ხალხმა იხუვლა, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. მაშინვე (უშუალოდ თ. კიტოვანის შემდეგ) გამოვედი მე და განვაცხადე:

მოიცადეთ, ხალხო, ჯერ დავადგინოთ სწორია თუ არა ეს ცნობა — მეთქი. მართლაც რამდენიმე კაცი წავიდა შავნაბადაზე და დაადგინა, რომ ცნობა სწორი არ იყო.

მოველი, რომ თქვენი გაზეთი ბოდიშს მოიხდის არასწორი ცნობისათვის უახლოეს ნომერში.

ნოდარ ნათაძე

## გაზეთ „საქართველომ" ბათუმამდე ვერ ჩააღწია

როგორც „7 დღის" პუბლიკაციიდან შევიტყვეთ, ბათუმში პოლიციას კიოსკებიდან ამოუღია გაზეთის ის ნომერი, ასლან აბაშიძისადმი მიძღვნილი წერილი — სათაურით „ფეტიში" — რომ იყო გამოქვეყნებული. ამ პუბლიკაციამ ჩვენ ჩვენი უბედურება გაგვახსენა. კერძოდ, ბათუმისკენ მიმავალი სამგზავრო ავტობუსი, რომელსაც აჭარაში უნდა ჩაეტანა გაზეთ „საქართველოს" რამოდენიმე ასეული ეგზემპლარი — გურია-აჭარის სამანზე დააყაჩაღეს. უცნობმა ბოროტმოქმედებმა გაზეთები დახიეს და წყალში გადაყარეს... ამ ფაქტს რაც ჩვენთან ყაჩაღობა ხდება, დიდ ყურადღებას არც მივაქცევდით, მაგრამ „7 დღის" სავალალო ხვედრი გვაფიქრებინ ებს, რომ შესაძლოა ავტობუსზე თავდასხმა მარტოოდენ მგზავრების გაძარცვას არც ისახავდა მიზნად (მითუმეტეს, აჭარის ხელისუფლებისა და პირადად ბ-ნ ასლან აბაშიძის „სიმპატიები" ჩვენი გაზეთის მიმართ — ყველასთვის კარგადაა ცნობილი). მართლაცდა, როდის აქეთ იყო, შარაგზის ყაჩაღები პრესის კონფისკაციას ახდენდნენ; თუმცა შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ გაზეთის პოზიცია არ ემთხვეოდა ბოროტმოქმედთა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მრწამსს და დაყაჩაღების ფაქტი პროტესტის თავისებურ ფორმად მივიჩნიოთ. ჩვენს დროში ისეა ყველაფერი ერთმანეთში არეული, რომ კაცს არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.

# ღალატით თავმომწონეობა

(აკაკი ელიავას ღია წერილის გამო)

გაზეთ „სარანგის" №2 (68)-ში გამოქვეყნდა აკაკი ელიავას „ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს". აღნიშნულ წერილში საუბარია ისეთი გახმაურებული ფაქტების შესახებ, რომელთა წინაპირობებიც ჩვენთვის ჭორების დონეზე იყო ცნობილი და ეს საკითხები ჩვენი ახლო წარსულის უმტკივნეულესი დღეების გარკვეულ მომენტებს განმარტავენ, კერძოდ, წერილში საუბარია სოხუმის დაცემის წინა დღეებზე. სწორედ იმ დღეებზე, როცა აფხაზეთში უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალები სამეგრელოდან დაპირისპირებაში მყოფი, მაგრამ ქართული სამხედრო ფორმირებებისაგან დახმარებას ელოდნენ.

პოლკოვნიკ ელიავას წერილში მოტანილია იმჟამად სენაკში მყოფი ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის ჩამონათვალი: „კერძოდ, აქ იყო 6 ტანკი, 5 „ბეემპე" 4 "ბეერდეემი" 4 ცალი მძიმე ტექნიკა „ნურსის" დანადგარებით, რომლის ერთდროული გასროლა იქნებოდა 250 რეაქტიული ჭურვი და ამავე დროს ერთი „გრადის" ტიპის დანადგარი. 250 კბილებამდე შეიარაღებული მებრძოლი".

სამხედრო საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვისაც კი გასაგები უნდა იყოს, რა დიდ სამხედრო ძალაზეა ლაპარაკი და რა დახმარების აღმოჩენა შეეძლო ამ ძალას ფრონტისთვის, ეს სამხედრო ფორმირება აფხაზეთში რომ წასულიყო. სამწუხაროდ, ამ კბილებამდე შეიარაღებული 250 მებრძოლის არცერთი ტყვია მტრისკენ არ გასროლილა. არ გასროლილა 250 ერთდროული შესაძლებლობიდან არცერთი ჭურვი.

მკითხველმა განსაჯოს, რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ უმძიმეს წუთებში საკუთარი ქვეყნის დაცვაზე უარი თქვას ასეთი შეიარაღების პატრონმა. აი, რა ყოფილა აკაკი ელიავას მიზეზი: „სენაკში დამირეკა ბატონმა ჟიული შარტავამ და მთხოვა წამოვსულიყავით სოხუმის დამცველთა დასახმარებლად. სენაკის ეროვნული გვარდიის №2 საგანგებო ბატალიონს უნდა გაერღვია მდინარე კოდორზე რუსებისა და „აფსუების" ალყა და შეერთებოდა ქალაქ სოხუმის დამცველებს... როცა ჟიული შარტავამ შემოგვთავაზა წამოვსულიყავით აფხაზეთში. მე მოვითხოვე ჩვენი ბატალიონის ოთხი უკანონოდ დაკავებული გვარდიელის გათავისუფლება. კერძოდ, ნ. ჭანტურია, ზ. წირღვავა, ჯ. ახალაია და დ. კაჭარავა, რომლებიც იმყოფებოდნენ თბილისის საგამოძიებლო იზოლიატორში. ჟ. შარტავა დაგვპირდა, რომ ამ საკითხზე დაუყოვნებლივ დაუკავშირდებოდა შევარდნაძეს...

მეორე დღეს ისევ დამირეკა ბატონმა ჟ. შარტავამ. ეს ეპიზოდი იხილეს ტელემაყურებლებმა. მე მოვითხოვე სატელეფონო საუბარი შევარდნაძესთან. მან მიპასუხა, რომ შევარდნაძე სოხუმში არ იმყოფებაო. ჩემი ინფორმაციით კი, შევარდნაძე სოხუმში იმყოფებოდა და ჩვენს საუბარს უსმენდა პარალელური ტელეფონით (შევარდნაძე ამ საუბარს პარალელური ტელეფონით არ ისმენდა, რადგან ეს მომენტი სწორედ ტელევიზიით იქნა გადმოცემული ვ.კ.) ბატალიონის მებრძოლების გამოშვებაზე უარი მივიღე, რის გამოც ბატალიონი ადგილზე დარჩა".

ჯერ ერთი, ტელევიზიით ვიხილეთ, რომ ჟ. შარტავა უარით კი არ პასუხობს უკანონოდ დაკავებული ოთხი მებრძოლის გამოშვებაზე, ეუბნება, ახლა ამ საკითხზე ლაპარაკის დრო არაა და დაგვეხმარეთო; და მეორეც, შარტავას რომ ელიავას წაყენებულ პირობაზე უარით ეპასუხა, უზარმაზარი სამხედრო ძალით აღჭურვილ პოლკოვნიკს უფლება არა ჰქონდა ოთხი მებრძოლის გამო სამშობლოს დაცვაზე ხელი აეღო. პოლკოვნიკის ამგვარი ნაბიჯი წმინდაწყლის ღალატია. ხოლო ამის შემდეგ ელიავას განცხადებას, ფიცი მაქვს ერისა და პრეზიდენტის წინაშე მიცემული და ბოლომდე ამ ფიცის ერთგული ვრჩებიო, მხოლოდ ღალატით თავმომწონეობა თუ დაერქმევა.

აკაკი ელიავა წერს: „შემდგომ ვითარებამ გვიჩვენა, რომ სოხუმს შეეძლო თავდაცვა, თუკი ეყოლებოდა ისეთი ერთგული მეთაური, როგორიც არის დუდაევი". მაგრამ თუკი ასეთი სიმპათიები აქვს ელიავას ჩეჩნური წინააღმდეგობისა, იქნებ ლაბაზანოვს მიაპყროს თავისი ყურადღება, დუდაევის დაუძინებელ ოპოზიციას, რომელმაც რუსებთან ომის დროს თავისი პოლიტიკური ინტერესები გვერდით გადადო. ომს მარტო გენერლები არ იგებენ, ომს ერთგული ჯარისკაცები სჭირდება. ეს ალბათ მაშინაც კარგად იცოდა პოლკოვნიკმა, როცა საქართველოს დახმარებაზე უარი უთხრა.

აკაკი ელიავას ღია წერილში წაყენებულია ბრალდებები უმაღლესი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისადმი, რომელთა განხილვა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ უთუოდ გამოვაქვეყნებდით ამ ფაქტების უარმყოფელ ან დამადასტურებელ მასალებს.

ვახტანგ კომახიძე

# ტრაგი-კომედია

ნოდარ გრიგალაშვილი

პირველი გვერდიდან

რამდენადაც სასიამოვნო და სულიერი კათარზისის მიმნიჭებელია მაყურებლისათვის ტრაგი-კომედიის ყურება თეატრის სცენაზე, იმდენადვე უსიამოვნო და წინასაინფარქტო მდგომარეობის მომგვრელია იგივეს ხილვა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ხელისუფალთა წყალობით კი ასეთ წინასაინფარქტო მდგომარეობაში ხშირად ვარდება თავისი ქვეყნის გულშემატკივარი, რომელსაც თითქმის ყოველი კვირა ახალ-ახალ პარადოქსებსა და ტრაგი-კომიკურ მოვლენებს სთავაზობს, მოვლენებს, რომელნიც არიადნეს გორგალივით იხეა გადანასკვული ერთმანეთზე, ეშმაკი ვერ უპოვის თავსა და ბოლოს.

ტრაგი-კომედია საქართველოში არც რუსთავის მოვლენებით დაწყებულა და სამწუხაროდ, არც ამით დასრულდება, ამიტომ ამ საკითხს ქვემოთ შევეხები, როგორც დიდი თემის ერთ ნაწილს და თავს ნებას მივცემ ჩვენი ყოფის ერთდროულად სასაცილო და სატირალი კადრების მეტი სრულყოფისათვის თხრობა უფრო განვაზოგადო.

ქვემოთ გადმოცემულ ამბებში მე არ ვეძებ მიზეზს ჩვენი ტრაგი-კომიკური ყოფისა და არც დამნაშავეს, ვინაიდან ეს სხვა ჟანრის თემაა და ანალიტიკურ წერილს ითხოვს, რომელსაც ალბათ ახლო მომავალში დავსტამბავ.

აქ მხოლოდ სურათები იქნება აღწერილი, რომელიც ცხოვრებამ შემოგვთავაზა და რომელიც ნაწილია იმ დიდი პოლიტიკური კლოუნადისა; „რევოლუციური" ამობოყინებით რომ დაიწყო საქართველოში.

თუმცა, სამართლიანობა ითხოვს ითქვას, პოლიტიკური კლოუნადა ზენიტშივე იყო წინა ხელისუფლების დროს. კარავ-ქალაქისა და სამკაციანი ტელევიზიის აკომპანიმენტით, მაგრამ იმ მოვლენებზე მქონდა „პატივი" მაშინ მეწერა, როცა ის ხელისუფლება იყო საქართველოში, ჩვენი „გაბედული" კარიერისტებისაგან განსხვავებით, რომელთაც, თავის დროზე ენაჩაგდებულებმა, ხელების ქნევა ჩხუბის შემდეგ დაიწყეს და ახლა საფლავშიაც არ აყენებენ საქართველოს პირველ პრეზიდენტს.

მაშ, მომყევ მკითხველო, აქ სასაცილო ამბები იქნება მოთხრობილი, ცხადია, სატირალი რომ არ იყოს...

## 1991 წლის 22 დეკემბერი

## ყოფილი მინისტრი ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას: – რას ჩადიხართ. გამსახურდიას ცოცხალს როგორ უშვებთ!..

**22 დეკემბერს** სახლიდან გვიან გამოვედი. 21-ში მთელი ღამე მთავრობის სახლის წინ მიტინგი ბობოქრობდა, იქით, სასახლესთან, პრეზიდენტის დამცველებისა, აქეთ, I სკოლის წინ ოპოზიციისა. ამ მიტინგიდან რომ წამოვედი, 2-3 საათი იქნებოდა ღამისა და 22-ის დილა ამიტომაც გადავაყოლე ძილს. იმ დღეს სასტუმრო „ივერიაში" რამდენიმე მწერალთან ერთად ჭირის სუფრაზე, ორმოცზე უნდა მივსულიყავი. ის იყო, რესპუბლიკის მოედანზე შევედი მანქანით, რომ ავტომატების კაკანის ხმა მომწვდა. მანქანა გავაჩერე, გადავედი. თავისუფლების მოედნის მხრიდან დენთის სუნი და სიკვდილის მთესველი კანონადის ხმა მოდიოდა.

გაოგნება და ბოღმა ერთდროულად დამეუფლა. ყელში ბოღმის გორგალი გამეჩხირა. ცრემლი თავისთავად გადმოგორდა. ანგარიშმიუცემლად გავეჩქარე იქით, საიდანაც სროლის ხმა ისმოდა. არავითარ შიშს არ ვგრძნობდი, თითქოს ყველაფერი უკვე სულერთი იყო. ხომ დენთის კასრზე იდგა თბილისი მთელი ოთხი თვის განმავლობაში, მაგრამ ის რაც 22-ში დაიწყო, ისეთივე მოულოდნელი და წარმოუდგენელი ჩანდა მოქალაქეთათვის, როგორც კრეისერ „შმიდტის" გამოჩენა რუსთაველის პროსპექტზე.

პროსპექტს ზარბაზნების ქუხილი აყრუებდა. ქართველები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დარეოდნენ.

ახლა, ხანგრძლივი სამოქალაქო და სამამულო ომის შემდეგ, ტერორისტული აქტების სერიისა და ყოველდღიური უაზრო მკვლელობის შემდეგ, მიტინგების დახვრეტისა და ადგილზე ლიკვიდაციების შემდგომ, როცა სიცოცხლეც კუპონივით გაუფასურდა, ძნელია მაშინდელი განცდების სინაღდეში დააჯერო ვინმე. თუმცა, თემას გადავუხვიე, 1991-1992 წლების ორ სისხლიან კვირაზე ალბათ ტომები დაიწერება. აქ მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ რედაქტორის წიგნაკის წყალობით, ჩემი ფიქრით ინფორმაციის მისაღებად, სასტუმრო „თბილისში", კიტოვანის გვარდიის მთავარ შტაბში შევაღწიე, სადაც დაახლოებით დღის 2 საათზე ასეთი დიალოგის მოწმე შევიქენი.

ჰოლში გამოდის თენგიზ სიგუა და გამარჯვებულის იერით ამბობს:

— ეხლა ველაპარაკე გამსახურდიას, წავუყენე ულტიმატუმი, რომ დასტოვოს საქართველო. მივეცი სიცოცხლისა და ხელშეუხებლობის გარანტია. მან მითხრა;

— ბატონო თენგიზ, ინტელიგენტი კაცი ბრძანდებით, რა საჭიროა ეს სისხლისღვრა, გამოვიდეთ ღია ეთერში და ცივილიზირებული წესით გადავწყვიტოთ ყველა საკითხო.

**(სიგუა)** — ღია ეთერში გამოსვლას მე თქვენ დღემდე გთხოვდით, არაფერზე უკან არ იხევდით, თქვენ მიგვიყვანეთ ამ დღემდე, ახლა ყველაფერი გვიანია. სისხლისღვრა შეწყდება იმავე წუთს, რა წუთსაც გამოაცხადებთ თქვენს გადადგომას.

**(გამსახურდია)** — მომეცით ნახევარი საათი. უნდა გავიდე სახლში, წავიყვანო ცოლ-შვილი და წავიღო აუცილებელი ნივთები. თქვენ მოთავსდებით იმავე მანქანაში, სადაც ვიქნები მე. გაგვაცილებს დაცვა ორივეს. გამიშვებთ ბათუმში და იქიდან წავალ საზღვარგარეთ (ვგონებ, სიგუამ თურქეთი ახსენა. ნ.გ.).

(სიგუა) — თანახმა ვარ, ერთი პირობით, აეროპორტის გზაზე გავაჩერებთ მანქანას, გადმოვალთ და ტელეოპერატორი ჩაიწერს თქვენს განცხადებას გადადგომის შესახებ, ან ეს მოხდეს თვითმფრინავის ტრაპთან.

(გამსახურდია) — გადადგომის შესახებ განცხადებას მე არ გავაკეთებ.

(სიგუა) — კარგით, ძალაში რჩება ჩვენი მოლაპარაკება. დაგიკავშირდებით ნახევარ საათში.

ასეთი იყო ის დიალოგი, რომელიც ბატონმა თენგიზ სიგუამ გადმოგვცა. იქ ჩემს გარდა ყველა მისი ახლო ნაცნობი იმყოფებოდა, სულ 7-8 კაცი, ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლები. ატყდა ხვევნა-კოცნა, მილოცვები.

ზედმიწევნით ზუსტად მახსოვს ის გრძნობა, რაც მაშინ დამეუფლა. ეს იყო გრძნობა ტკივილნარევი სიხარულისა.

ტკივილი იმის გამო, რომ საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ თუ პატარა რაზმის პირველსავე დაფუცხუნებაზე დაყარა ფარ-ხმალი, რა გვეშველებოდა მაშინ, მტერი რომ შემოსეოდა საქართველოს? გარდა ამისა, პიროვნულმა მომენტმაც ითამაშა როლი. დამარცხებული და განწირული კაცისადმი მე მუდამ შეცოდების გრძნობა მიჩნდება. თვალწინ დამიდგა სამშობლოდან ექსორიაქმნილი გამსახურდია, რომელსაც ჯერ კიდევ 1979 წლიდან, ჩემი სტუდენტობის წლებიდან ვიცნობდი, რომელთანაც შესანიშნავი პირადი ურთიერთობა მქონდა და რომლის თავგამოდებული დამცველი ვიყავ კომუნისტებისაგან მისი დევნის პერიოდში.

სიხარული იმის გამო, რომ ძმათამკვლელი ომი შეწყდებოდა და დასრულდებოდა კოშმარი.

დასრულდებოდა ეგზალტირებული კარვის დედაკაცების სამარცხვინო პარპაში.

(საუბედუროდ ეს სიხარული ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა). ძმათა ომი არც მაშინ შეწყდა და არც წლების შემდეგ.

ხოლო ეგზალტირებული კარვის ქალები, მომავალში ეგზალტირებულმა კარვის კაცებმა შეცვალეს.

კვლავ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ.

ბატონ სიგუასთვის მიმლოცველებს მილოცვები არ ჰქონდათ მომთავრებული, რომ მოულოდნელად გაისმა გამსახურდიას ერთი ყოფილი მინისტრის ხმა (გვარს არ დავასახელებ, ისიც მეცოდება...).

— ბატონო თენგიზ, რას ჩადიხართ, გამსახურდიას ბათუმში გაშვება როგორ შეიძლება, იქ ასლანის ხალხით გამაგრდება და ისევ შემოგვიტევს

(სიგუა) — აბაშიძე ჩ-ი კია, მაგრამ ჭკვიანია, ვერ გაბედავს.

(ყოფილი მინისტრი) — მაგის თბილისიდან ცოცხალი გაშვება არ შეიძლება.

სიგუა — (აღშფოთებით, მკაცრად) — სიტყვა მივეცი, რომ უვნებელს გავაცილებ, შენ რას მეუბნები, რას, არ გრცხვენია?

ამის შემდეგ ყოფილი მინისტრი გაჩუმდა და როგორც ცურტაველი იტყოდა, იწყო სივლტოლად...

რაც აქამდე გიამბეთ, ძვირფასო მკითხველო, მასში სასაცილო არაფერია, სატირალი კი, მაგრამ რამდენჯერაც იმ ყოფილ მინისტრს შევხედავ, იმდენჯერ მეცინება, რატომ იცით?

იგი დღეს ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული ლიდერ-ზვიადისტი და მათი მიტინგებიდან ხუნტის წინააღმდეგ ცეცხლისმფრქვეველი მებრძოლია. მოდი და გაუგე რამე ამ ცხოვრებას...

## კაკუტა და ქუჩარა თბილისის ომში

**ეს ამბავი** უკვე 1992 წლის 6 იანვარს მოხდა.

ქალაქში ხმა დაირხა, პრეზიდენტი ბუნკერიდან გაიქცაო.

გამარჯვებულთა შტაბი ახლა უკვე მეცნიერებათა აკადემიის შენობაში იყო გადმოტანილი. დიდი გახლდათ ცნობისმოყვარეობა. ყველა აკადემიის შენობისკენ მიეშურებოდა.

ავედი აკადემიის მეორე თუ მესამე სართულზე, სადაც სამხედრო საბჭო იყო მოთავსებული, ანუ სადაც საქართველოს ისტორიაში გადატრიალების ავტორებად უკვე ჩაწერილი თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის კაბინეტებს იხილავდით.

ქვაფენილზე დაღუპული ბიჭების სისხლი ჯერ კიდევ არ აშრალიყო და იმ კაბინეტებთან სამარცხვინო სურათი ვიხილე.

იდგა თანამდებობის მაძიებელ, პირდაპირ ვიტყვი, ნაძირალათა რიგი.

დანიშვნები ხდებოდა პირდაპირ, შეუფერხებლად, ყოველგვარი ბიუროკრატიზმის გამორიცხვით, ერთი ხელის მოსმით, რევოლუციური რომანტიკით... კარს უკან ატუზული ბოგანო, კარს შიგნით მინისტრი ხდებოდა. მინისტრის პორტფელს ხუთი სანტიმეტრი სისქის კარი აშორებდა. უნდა გენახათ როგორი ვნებით, როგორი მოწიწებითა და გულისფანცქალით შეჰყურებდნენ ამ კარებს მომავალი მინისტრები, მომავალი სამხედრო საბჭოს რწმუნებულები.

გაიღო ის მაგიური კარი და ბატონი ჯაბა იოსელიანი გამოჩნდა. სუკის ციხეში დაკარგული რომანის საძებნელად მიეშურებოდა. ყველას ხელის ჩამორთმევით მიესალმა. ჩემს შესახებ ჩვენმა მსახიობმა გოგი ხარაბაძემ უთხრა, გაიცანი ეს „საქართველოს" რედაქტორიაო.

იოსელიანმა გამორჩეული ყურადღებით მომიკითხა. თქვენ გაზეთს ციხეში ვკითხულობდიო, მართალია ჩვენზე არ წერდით, ჩვენ ხომ ბანდიტებად მოგვნათლესო (შეფარვით მისაყვედურა), მაგრამ მაინც კაი ბიჭი ხარ, ვაჟკაცურად წერდითო და სხვა ასეთები.

იოსელიანი წავიდა, შორიახლოს მდგარმა სათანამდებობოდ შემზადებულმა ნაცნობებმა ჩვენი ბაასი რომ დაინახეს, ერთბაშად ფასი დამედო. ცალ-ცალკე მოდიოდნენ და არისტო ქვაშავიძესავით მოკრძალებით მთხოვდნენ.

— ერთი აქეთ მობრძანდით.

— იცნობ?

— კიტოვანსაც იცნობ?

და ვიდრე პასუხს გავცემდი, იწყებოდა თითქმის ერთნაირი მონოლოგი იმაზე, თუ როგორ სძულდათ გამსახურდიას რეჟიმი, როგორ ერთგულად აპირებდნენ ახალი მთავრობის სამსახურში ჩადგომას. ოღონდ, თავის თავზე თავად ხომ ვერ ილაპარაკებდნენ, ვიღაცას უნდა მოეხდინა წარდგენა და ა.შ. და ა.შ.

ქვაფენილზე კი დაღუპული ბიჭების სისხლი ჯერ კიდევ არ აშრალიყო...

გულდამძიმებული გამოვდივარ აკადემიის შენობიდან და ყველაზე შთამბეჭდავ ტრაგიკომიკურ სურათს აქ ვხედავ.

დგას ავტომატგადაკიდებული ორი ძველი, ძალიან ახლო ნაცნობი, საზოგადოება „ლემის" წევრები, დანამდვილებით ვიცოდი, ორივე გამსახურდიას მომხრეთა ბანაკში იყვნენ. გაკვირვებისაგან პირი დავაღე.

— თქვენ აქ რა გინდათ, —

# საქართველოში

ვეკითხები გაოცებული.

— სსსუ, — საჩვენებელი თითი ტუჩთან მიაქვს ერთს და მეუბნება,— ის გაიქცა, ახლა აქ მოვედით და მრავალმნიშვნელოვნად მიკრავს თვალს.

— ეგ იარაღი ვინ მოგცათ, კაკიტა და ქუჩარასავით მკვდარი ხომ არ გაძარცვეთ თქვე შეჩვენებულებო — მეთქი, — მინდოდა მეთქვა, მაგრამ ხელი ჩავიქნიე და უხმოდ დავცილდი, ვიცოდი, ის იარაღი „იმათ“ მისცეს, ერთს “ამათაც“ დასცინცლავდნენ და სდიოს ახლა კვირაიამ ორი მთავრობისაგან „სემიჩკასავით“ ჩამორიგებულ ავტომატებსა და ხელყუმბარებს.

ასე დაიწყო პარადოქსების ახალი ხანა ჩემს ქვეყანაში, მაგრამ იმ პარადოქსებს, იმ კლოუნადას უმაღლეს ეშელონებში რომ ხდება, ვგონებ ანეკდოტებშიც არ მოეძიება პარალელი. აი, კიდევ ერთი პარადოქსი და ტრაგი-კომედია.

## შევარდნაძე-გოგუაძეს

## – ვახტანგ, ხომ არ იცი, საით წავიდა ჩვენი ჯარი?

**1992 წლის** 14 აგვისტოს ჩვენი ჯარი სოხუმში შევიდა.

იმჟამად ერთი-ორი პოლიტიკოსის გარდა, არავის დასცდენია, ეს რა ჩაიდინეთო, პირიქით, ერი და ბერი, თვით აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, პრესა აღფრთოვანებით შეხვდა უმაღლეს ხელისუფალთა ამ გადაწყვეტილებას.

აღსადგენი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და როცა ამ მიზანს სიტყვით, მოლაპარაკებით, კომპრომისებით ვერ აღწევ, სახელმწიფოს მთლიანობა ცეცხლითა და მახვილით უნდა დაიცვა.

სწორედ ეს ფრაზა ახსენა ომის დაწყებამდე მწერალთა კავშირში შეხვედრისას სახელმწიფოს მეთაურმა. მან ბრძანა: დროა აფხაზები მიხვდნენ, რომ მათი ბედი მოსკოვში აღარ წყდება. ყველაფერი აქ თბილისში უნდა გადაწყდეს და თუ საქართველოს დასჭირდა, ცეცხლითა და მახვილით დაიცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობასო. მწერლებმა ეს პატრიოტული სიტყვა სიამოვნებით მოისმინეს, მაგრამ გავიდა დრო და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაწყებული ბრძოლა, ჩვენივე უხეირობით, სამარცხვინოდ წავაგეთ.

უბედურებაში ჩავარდნილ ძლიერ ადამიანებს ჭირი უფრო აკაჟებთ და ადუღაბებთ, სულმოკლენი კი ერთმანეთს ამუნათებენ, რაც გვჭირს, არა შენი ბრალია და არა შენიო.

ჩვენც ასე დაგვემართა.

სამი წლის შემდეგ გახდა გასარკვევი ის, თუ ვინ დაიწყო ომი. დამარცხებული ბრძოლის ინიციატორობა აღარავის სურდა, თურმე ამხელა მსხვერპლი და უბედურება კიტოვანის ახირების შედეგად უზღვევია ქვეყანას. თუ ეს ასეა, ხომ ტრაგედიაა და, თუ ეს ასე არ არის და გადაბრალებასთან გვაქვს საქმე, თანაც 3 წლის შემდეგ; კიდევ მეტი ფარსაგი ტრიალებს ჩვენი პოლიტიკოსების თავს.

ამ გადაბრალება-გადმობრალებამ პირდაპირ კომიკური სახე მიიღო.

პარლამენტის სპიკერმა, მეთაურის პოზიციის გასამაგრებლად, ტელეეკრანიდან ასეთი მემუარული ჟანრის ინფორმაცია მოგვაწოდა, (სიტყვა-სიტყვით ვერ ვიხსენებ, თუმცა შინაარსი ასეთი იყო) სახელმწიფოს მეთაურმა ომის დაწყების შემდეგ დამირეკა (ვგონებ სამი დღის შემდგომ) და მკითხა — ვახტანგ, კიტოვანი ხომ არ იცი სად არისო.

სპიკერის სიტყვებში მე ეჭვი არ შემაქვს (მით უფრო 13 იანვრის „ლაშქრობის“ შემდეგ), მაგრამ განა ეს მოგონება ტრაგი-კომიკურ სურათს არ ხატავს?

ბატონ მეთაურის წინაშე ათასგზის



მ. აბაშიძის ნახატი

ბოდიში მომითხოვია, მაგრამ როგორ არ გაახსენდება კაცს კადრი კინო-ფილმიდან „ლონდრე“ — ჩვენ ჯარს აქეთ ხომ არ ჩაუვლია?...

## ამბავი სამუშიას გაუჩინარებისა

**ბრძოლებში** თავდადების მიუხედავად, პოლკოვნიკ .ზურაბ სამუშიას სახელი საქართველომ ვერ შეიტყო, სამაგიეროდ იგი ცნობილი პიროვნება სამთავრობო და საპარლამენტო კურიოზული დუელის შედეგად გახდა...

ვის შეეძლო ეჭვი შეეტანა პარლამენტართა სიტყვებში,რომელიც მთელი საქართველოს გასაგონად ითქვა: სამუშია სუკის იზოლატორში ზის, არიან თვითმხილველები, არის ხალხი, რომელიც ელაპარაკა, ოჯახიდან მოსაკითხიც შეუგზავნესო.

ვის შეეძლო ეჭვი შეეტანა პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებაში. სამუშია არცა გვყავს და არც გვყოლია დაპატიმრებული, ჩვენს სიახლოვეში ასეთი გვარის კაცი სხვაც არ ჭაჭანებსო.

დაიბნა ხალხი, ბერმუდის სამკუთხედის ვარიანტი აგერ, ჩვენს თვალწინ გათამაშდა.

გადის დრო და გაზეთი „შვიდი დღე“ აქვეყნებს ზურაბ სამუშიას ნათქვამს: **დაპატიმრებული ნამდვილად ვიყავიო.**

ან იყო საკანში სამუშია, ან არ იყო. ყოველგვარი ლოგიკით სხვა ვარიანტი გამორიცხულია, არადა წინასწარ ვგრძნობ, ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევისას ისეთი ლოგიკაც გათამაშდება, მსოფლიოს ფანტასტიკური მწერლობა პირს რომ დააღებს.

ლაპარაკია არა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს შორის კუკუმალობანას თამაშზე, არამედ სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთა უპირობაზე, მოდი და იცხოვრე ასეთ ქვეყანაში!...

ეს მაგალითები ზღვაში წვეთია ამ ტრაგიკომიკური ფაქტების წყებაში, ყოველდღიურობა რომ გვთავაზობს, ამიტომ მაგალითების მოხმობას შევწყვეტ და წერილის დასაწყისში აღწერილ ინციდენტს დავუბრუნდები.

**„ის მარჯვენა დაილოცოს, მამალაძეს რომ თავი გაუტეხა“**

სწორედ ეს ფრაზა ჩაიბურდღუნა საგაზეთო ჯიხურთან მდგარმა მამაკაცმა, რომელმაც გაზეთში რაღაც წერილს ჰკიდა თვალი. დავინტერესდი, მეც ჩავხედე და მის ლოცვა-კურთხევას, უნდა გამოვტყდე, დავეთანხმე.

თავგატეხილი თავისგამტეხავთან ერთად ხელს აწერდა ერთობლივ განცხადებას, ჩვენაო, სახელმწიფო ინტერესებიდან გამოვდივართ და თქვენო, რუსთავის ინციდენტის პოლიტიზაციას არ დაგანებებთო.

ჯერ იყო და გადავდგებიო — მამალაძემ.

ჯერ იყო და ყველას დავიჭერთო — მოქალაქეთა კავშირმა.

ახლა აქეთ გვემუქრებიან, ხმა ჩაიგდეთ, რაც მოხდა თქვენი საქმე არ არის, სახელმწიფო ინტერესებისთვის ასეა საჭიროო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქვემო ქართლის გუბერნატორმა თავის ხელმეორედ გატეხვას, სახელის გატეხვაც ამჯობინა, მისი სახელი არც აქამდე ჰქუხდა დარუბანდიდგან არსიანამდე, მაგრამ ამ მოქალაქეთა კავშირის იმედზე, ერთ პატარა გუბერნატორს რომ ვერ პატრონობენ, საქართველო შეიძლება იყოს?

ახლა შენ დაფიქრდი, მკითხველო, შოუა ეს თუ დრამა.

საუბედუროდ, ერთიც არის და მეორეც, უფრო „მაგარი“ ის არის, რომ ხვალ შეიძლება მეც გამიტეხონ თავი და ესეც ტრაგი-კომედია იქნება და არა ტრაგედია, რადგან ჭკვიანი კაცი ჩემს ადგილზე უნდა მიხვდეს — რა მრჯის, ეს ქვეყანა თუ „ყველას ფეხებზე ჰკიდია, რომელი „მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისი“...

## ეპილოგის მაგიერ ანუ მოლა ნასრედინმა თქვა

**მიდის** ასე ეს ცხოვრება, ბრძოლასა და ერთმანეთის ჭამაში. ებრძვიან:

უმცირესობა— უმრავლესობას

უმრავლესობა — უმცირესობას

ანტიზვიადისტები ზვიადისტებს, ზვიადისტები ანტიზვიადისტებს!... ოპოზიცია შევარდნაძეს, შევარდნაძე ოპოზიციას!...

პარტიები (არა ყველა) მხედრიონს, მხედრიონი პარტიებს!...

აბაშიძე გიორგაძეს, გიორგაძე აბაშიძეს!...

ებრძვიან — ავტომატიანები ჟურნალისტებს, ჟურნალისტები ერთმანეთს...

ებრძვიან — გუშინდელი მოკავშირენი, გუშინდელი მოსიყვარულენი...

ებრძვიან, იბრძვიან, ჩხუბობენ და ამ ბრძოლებში სათითაოდ ყველას უჭიატებს ცალ-ცალკე იმედი, რომ ის მოიგებს...

არადა, მწარე მაგალითი გვაქვს — დეკემბერ-იანვარი.

ამ ბრძოლებით წააგებს ყველა,რადგან წააგებს საქართველო და კონკრეტულ ბრძოლაში დროებით გამარჯვებულთა ზეიმს შეცვლის მათივე შთამომავლობის წყევლა-კრულვა.

ერთადერთი, ვინც ტაშს უკრავს და ხელს უწყობს ჩვენს უგუნურებას, ვინც ხან ერთ მხარეს აძლიერებს და ხან მეორეს, და ვინც ნამდვილად დარჩება გამარჯვებული ამ ბრძოლებით, არის ის, ვისაც საქართველოს დამარცხება უნდა — ჩვენი ნაცადი „მეგობარი“ — რუსეთი.

ერთი ანეკდოტი მახსენდება, ცოტა უცენზუროა, მაგრამ ვეცდები ყურის ასატან ფორმებში გადმოვცე:

მოლა ნასრედინმა ორი ბიჭი დაიბარა და უბრძანა: იჭიდავეთ, რომელიც პირველი წაიქცევით, უნდა დავაკუნკულოო.

ბიჭები ებრძლვნენ ერთმანეთს, მოლის ხელში ჩავარდნა, ცხადია,არცერთს არ სურდა, დიდხანს ჯიჯგნიდნენ ერთურთს, მოსწყინდა მოლას მათი ყურება და დაიწყო ხვანჯრის ჩახსნა.

მოლა, რას შვები, ჯერ ხომ არცერთი არ წავქცეულვართო — გამოსძახეს მოჭიდავეთ.

ერთ-ერთი ხომ წაიქცევით, რომელი იქნება რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვისო — იყო პასუხი.

მე აქ დავსვამ წერტილს, შენ კი იფიქრე ბრძოლებში გართულო ჩემო სისხლო და ხორცო...

სასამართლო





# განაჩენი

1992 წლის 13 ივნისს, ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი ტერორისტული აქტის ორგანიზატორებისა და შემსრულებელთა სასამართლო პროცესი დასრულდა. განაჩენი გამოტანილია. ორ ბრალდებულს — ირაკლი დოკვაძეს და პეტრე გელბახიანს მიესაჯათ სასჯელის განსაკუთრებული ზომა — დახვრეტა. დანარჩენებს — სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

ასე დასრულდა საქართველოს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი სასამართლო პროცესი. აქ არ მიგვაჩნია საჭიროდ მსჯავრდებულთა ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაზე ლაპარაკი, თუმცა როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს მსვლელობისას იმდენი უკანონობა, პროცესუალურ ნორმათა იმდენი დარღვევა იქნა დაშვებული, თვით ვიშინსკისაც შეშურდებოდა, ცოცხალი რომ იყოს. ამის შესახებ უკვე ბევრი ითქვა და ალბათ, მომავალშიაც ითქმება. — უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის, პირადად ედუარდ შევარდნაძისთვის „დომუხოვსკი-გელბახიანის საქმე“ ნამდვილი გამოცდა იყო, გამოცდა, რომელიც ხელისუფლებამ ვერ ჩააბარა. იგი „ჩაიჭრა“ (ვინ მოთვლის, მერამდენედ!) და კიდევ ერთხელ დაამტკიცა არა მარტო თავისი ამორალურობა, არამედ ელემენტარული უგუნურებაც...

## მორალი, სამართალი და გონიერება

ჩვენს არეულ დროში, როცა აბსოლუტურად აღრეულია ყოველგვარი მორალური კრიტერიუმები, როცა სამართლებრივი ნიჰილიზმი ქართულ საზოგადოებას ლამის სისხლში აქვს გამჯდარი და როცა ყოველივე ამის სამაგალითო ნიმუშს თვით ხელისუფლება იძლევა — ე.წ. ოფიციალურ ინსტანციებზე ზემოქმედების მიზნით რაიმე ზნეობრივი თუ იურიდიული კატეგორიებით აპელირებას, არავითარი აზრი არა აქვს. სამხრეთაფრიკული ტომის, ჰოტენტოტების ბელადს ერთხელ ჰკითხეს: რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება? ბელადმა, არც კი დაფიქრებულა, ისე მიუგო: ბოროტებაა, როცა მეზობელი დამესხმება თავს, გამძარცვავს და ჩემს ცოლს წაიყვანს, ხოლო სიკეთეა, როცა მე დავეცემი მეზობელს, ყველაფერს წავართმევ და მის ცოლსაც წამოვიყვან. — ჩვენდა საუბედუროდ, ქართულ სინამდვილეში ხშირად ეს „ჰოტენტოტური ლოგიკა“ მოქმედებს. ძლიერს ყველაფრის უფლება აქვს, სამართლიანობა კი, როგორც ცნობილია — საკამათოა. რეალური ვითარების გათვალისწინებით, ნაკლებად მოსალოდნელი, უფრო მეტიც, პრაქტიკულად გამორიცხული იყო, რომ „დომუხოვსკი-გელბახიანის“ პროცესი სამართლებრივი ნორმების სკრუპულოზური დაცვით წარმართულიყო. ერთადერთი რამ, რაც ნამდვილად მოეთხოვებოდა ხელისუფლებას, გახლდათ არსებული სიტუაციის გააზრება და წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით ხელმძღვანელობა. ამისთვის კი სულაც არ იყო საჭირო არც მაღალი ზნეობა, არც კანონისადმი ერთგულება, არამედ მხოლოდ გონიერება...

„დომუხოვსკი-გელბახიანის პროცესმა“ (იმისდა მიუხედავად, სინამდვილეში მართლა ჩაიდინეს თუ არა მათ ინკრიმინირებული დანაშაული) მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ელფერადობა შეიძინა. უამრავი პროცესუალური დარღვევები, პატიმართა ცემისა და წამების ფაქტები, საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური წრეების დაინტერესება ადამიანის უფლებათა აღიარებული ნორმების შელახვით — საყოველთაოდ გახდა ცნობილი. ყველაზე უარესი, რაც კი შეიძლებოდა ამ ვითარებაში მომხდარიყო — ეს გახლდათ დოკვაძისა და გელბახიანისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, რაც ორწლიანი ჯახირის შემდეგ რის ვაი-ვაგლახით „მოხერხდა“.

## ვარიანტები

როცა ვამბობთ, „ყველაზე უარესი“, ვგულისხმობთ არა იმდენად სიკვდილმისჯილებს, არამედ უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებასა და სახელმწიფოს მეთაურს. დავსვათ მარტივი კითხვა: რა სარგებელი შეეძლო მიეღო ხელისუფლებას ამ პროცესისგან? ფაქტიურად არავითარი! თუკი ვინმემ სერიოზულად იფიქრა, რომ ბრალდებულთა მკაცრი დასჯით წესრიგისა და კანონიერების დამცველის სახელს დაიმკვიდრებდა — ძალიან შემცდარა. ყოფილი პრეზიდენტის ფანატიური მომხრეებისთვის სასამართლო პროცესის ნებისმიერი დასასრული, თუნდაც ყველა გაეთავისუფლებინათ, მაინც შევარდნაძის „სატანური განზრახვის“ დასტურად ჩაითვლებოდა (რომელიც მან ღვთის ნებით, ვერ განახორციელა), ასევე განაჩენის შინაარსს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მათთვის, ვისაც „ზვიადისტი“ არც კი მიაჩნია სრულფასოვან ადამიანად. სხვანაირად რომ ვთქვათ, უკიდურესობანი ერთმანეთს ემთხვევა. მათი აზრი შეიძლება არც კი ჩააგდო სათვალავში. ხელისუფლებისათვის, განსაკუთრებით შევარდნაძისთვის, გაცილებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო საზოგადოების იმ უდიდესი ნაწილის დამოკიდებულება პროცესისადმი, ვინც ზემოთ ნახსენებ უკიდურესობებს არ მიეკუთვნება. ამ თვალსაზრისით კი ცხადი იყო, რომ ყველა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება აღქმული იქნებოდა, როგორც პირადად შევარდნაძის მიერ გამოტანილი განაჩენი.

სისულელეა იმაზე ფიქრიც კი, რომ სასამართლომ „თავისით“ გამოიტანა მსჯავრი და სახელმწიფოს მეთაურს არ ჰქონდა ჩარევის უფლება. საკმარისი იყო შევარდნაძეს „ვიწრო წრეში“, „შინაურულად წამოცდენოდა“, კარგი იქნება თუ დოკვაძესა და გელბახიანს დახვრეტას არ მიუსჯიან, რადგან ეს მხოლოდ მე დამბრალდებაო, რომ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერი აუცილებლად მივიდოდა მოსამართლისა და პროკურორის ყურამდე. ბოლოს და ბოლოს, როგორც უკვე ვთქვით, ამ პროცესის მიმდინარეობისას იმდენჯერ დაირღვა კანონი, რომ კიდევ ერთი დარღვევა (ისიც ბრალდებულის სასარგებლოდ), თუკი შევარდნაძე პირდაპირ მოსთხოვდა მოსამართლეს ლმობიერებას — არაფრის დიდებით არ ჩაითვლებოდა უსამართლობად. პირიქით, მხოლოდ დადებით ემოციებს თუ აღძრავდა საზოგადოებაში.

მოკლედ, შევარდნაძეს თავისუფლად, დიდი ძალისხმევის გარეშე შეეძლო არ დაეშვა სასიკვდილო განაჩენის გამოტანა. აქ ორში ერთია: მას ან მართლა ძლიერ უნდოდა დახვრეტა მიესაჯათ დოკვაძისა და გელბახიანისთვის, ან უბრალოდ ყურადღება არ მიაქცია, თუ როგორ აღიქვამდა ამას ქართული საზოგადოება. პროკურორს რომ დახვრეტა არ მოეთხოვა, ან მოსამართლეს პროკურორის მოთხოვნა მაინც არ დაეკმაყოფილებინა, ეჭვი არ არის, სასამართლო პროცესი ყოველგვარი განსაკუთრებული აჟიოტაჟის გარეშე დამთავრდებოდა. ერთადერთი ვარიანტი, რომელიც მეტ-ნაკლებად ლოგიკურად ხსნის პროცესის ამგვარ დასასრულს, გახლავთ ის, რომ შევარდნაძემ მსჯავრდებულთა შეწყალებაზე ხელისმოწერით საზოგადოების გული მოიგოს, მაგრამ თვით სასიკვდილო განაჩენის ფაქტი, თავისთავად ისეთ „ანტიშევარდნაძისტულ“ რეზონანს იძენს, რომ სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან შეწყალება — უფრო იძულებით ნაბიჯად ან თვალთმაქცობად ჩაითვლება.

## განაჩენი

გულახდილად ვიტყვი, ბოლო მომენტამდე არ მჯეროდა, თუ სასამართლო სასიკვდილო განაჩენს გამოიტანდა. პრაქტიკულად არ არსებობს შანსი, რომ შეწყალების საპარლამენტო კომისია განაჩენს უცვლელად დატოვებს. დოკვაძეს და გელბახიანს ალბათ, მაინც არ დახვრეტენ. ხოლო თუკი შევარდნაძე შეწყალებას არ დაამტკიცებს, ეს იმის ტოლფასი იქნება, რომ საკუთარი ხელით მოკლას ორი ადამიანი. რასაც სახელმწიფოს მეთაური, იმედია, არ დაუშვებს (აქ ლაპარაკია არა ადამიანურ თანაგრძნობაზე, არამედ უბრალო კეთილგონიერებაზე). ამიტომ სასამართლოს განაჩენი (სამართლიანია იგი თუ უსამართლო — ცალკე საკითხია) — უაზრო განაჩენია. დოკვაძისა და გელბახიანის სიკვდილი ხელისუფლებას არავითარ სარგებელს არ აძლევს, არც ხალხს, — ეს მხოლოდ წამებულის გვირგვინს ადგამს მსჯავრდებულებს და მსოფლიოს თვალში სახელს უტეხს არა მარტო საქართველოს ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოსაც! უზნეო ხელისუფლება — ერისთვის ტრაგედიაა, ხოლო უგუნური ხელისუფლება — კიდევ უარესი. ჭკვიანი არამზადა ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე პატიოსანი რეგვენი. სადაც სულელი თავისი სისულელით გააფუჭებს საქმეს, გონიერ არამზადას ეყოფა ჭკუა მსგავსი რამ არ ჩაიდინოს. საქართველოს ხელისუფლების მორალურ სახეზე ლაპარაკი დიდი ხანია, რაც სრულიად ზედმეტი გახდა, მაგრამ „დომუხოვსკი-გელბახიანის“ საქმის ორწელიწადნახევრიანმა ბატალიებმა ერთი რამ ცხადყო: არსებულ ხელისუფლებას ქვეყნის სათავეში ყოფნის არც მორალური და აღარც ინტელექტუალური უფლება არა აქვს. მას უბრალოდ, არ შეუძლია გაარჩიოს ერთმანეთისგან თვით მისთვის რაა ხელსაყრელი და რა არა...

დავით ზურაბიშვილი

# სიტყვა, თქმული იბერლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ცენტრალურ სამრეწველო კომპლექსში მომხდარი ინციდენტის გამო რეგიონალური აქტივის გაფართოებულ სხდომაზე

მესამე გვერდიდან

ციონერები არიან და ეგრე მოუხდებათმეთქი. ეჰ, მარტო ამით რომ დაკმაყოფილებულიყვნენ, ვინ ოხერი ამოიღებდა ხმას, მაგრამ მერე რეგიონში გავუშვი კაცი საგანგებო რწმუნებულად და ჯერ კაბინეტშიც არ იყო შესული, როგორც იტყვიან, სალამიც არ ჰქონდა ნათქვამი, კონდახით თავი გაუხეთქეს, ვიცე-სპიკერი ჩავიდა იქ, ჩემი უერთგულესი კაცი და ტანკით გამოეკიდნენ, ძლივს გამოასწრო. მეორე რწმუნებული გავგზავნე, ისიც გალახეს, ვირზე უკულმა შესვეს და ისე გამომიგზავნეს. რა ხდება? სადაა პოლიცია? პროკურატურა? აგერ, დღისით, მზისით, მოკლეს სამი კაცი. მკვლელი ცნობილია, მეხანძრეთა ლეგიონის ყოფილი წევრია, მეტსახელად „ყასაბა“. დღემდე თავისუფლად დასეირნობს... ბატონი გენერალური პროკურორი ოპოზიციასთან ბრძოლაში რომ გვერდით მიდგას და მათ დაჭერას მოითხოვს, ძალიან კარგია, მაგრამ ამ შემთხვევაში რატომღაც ლიბერალობა გამოიჩინა: სანქციაზე წაუწერია, ვერ ვხედავ აღმკვეთი ღონისძიების აუცილებლობასო (პროკურორის რეპლიკა: თქვენ თვითონ არ მითხარით, თავი დაანებე მაგ გიჟებს, ჯერ ამის დრო არ არისო?)... გეტყობათ, ვერ გაგიგიათ ჩემი ნათქვამი. ნუ აურიეთ აქ ერთმანეთში პოლიტიკა და წესრიგის დამყარება. პოლიტიკა პროცესია. საკითხი უნდა მომწიფდეს. მანამდე კი, თუ საჭიროა, დღეს ერთი უნდა თქვა, ხვალ მეორე, ზეგ კიდევ მესამე! ასეა პოლიტიკაში. თქვენ კიდევ წესრიგის დაცვა გევალებათ. წესრიგი უნდა დაამყაროთ. მთავარია წესრიგი. გინდა კანონიერად იმოქმედეთ, გინდა უკანონოდ (ტაში).

დიახ, პროცესია პოლიტიკა. შარშან ამ დროს, რამდენ გუბერნატორს დაუმტვრიეს თავ-ყბა, ვინ მოთვლის. მაგრამ ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო. ახლა კი ხომ ხედავთ, საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ვითარება თანდათან სტაბილური ხდება. ხალხს იმედი მიეცა... ამ დროს კი მეხანძრეების წარმომადგენელი შედის აქვე, ქარხანაში და გამოაქვს ასი ტონა მადანი. არ აცადნენ, მაგრამ მიაყენეს ტანკი და ძალად წაიღეს. მერე მეორედ რომ მივიდნენ, უკვე ადმინისტრაციამ თვითონ გამოუტანა. ახლახან მესამედაც მისულან და კიდევ ასი ტონა წაუღიათ. ვინმე დაინტერესდა სად მიდის მერე ის მადანი? ასე აღარ შეიძლება! მეოთხედ რომ გნახოთ იქ მისული, ეს უკვე სახელმწიფოსთვის ზურგში დანის ჩარტყმა იქნება. მთელ მსოფლიოს ვარწმუნებ, რომ ჩვენთან სტაბილიზაციის პროცესი შეუქცევადია, რომ შეუძლიათ მშვიდად დააბანდონ ინვესტიციები. მიჯერებენ. მენდობიან. ახლა რა ვქნა? რა ვუთხრა ამის შემდეგ იმ პატიოსან ხალხს? უკვე გადაიცა ეს ამბავი მთელ მსოფლიოში. თავი მოგვჭრა და ეს არის. ეს უნდათ სწორედ ჩვენი ქვეყნის მტრებს!...

ყველა უნდა დავფიქრდეთ ამაზე. ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას უკანონობას. მე მინდა მივმართო ჩვენს სახელოვან ინტელიგენციას, განსაკუთრებით იმათ, ვისაც მეხანძრეებთან ახლო ურთიერთობა აქვთ. ახალგაზრდა მწერლები, პოეტები ... ჰოდა, კარგი იქნება თუ გამოვლენ და საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ ფაქტის მიმართ. დიახ, კულტურა თუ გადაგვარჩენს (რეპლიკა დარბაზიდან: ამასობაში გაგვჟუჟავენ ყველას ეგ შენი პაჟარნიკები და უკითხონ მერე ერთმანეთს თავიანთი უნიჭო ლექსები!). უნიჭოები და უწიგნურები თქვენთან მოიკითხეთ, ოპოზიციაში. გეტყობა ვინცა ხარ და ვის ნოტებზე მღერი. ქუჩა-ქუჩა ყვირილის მეტი რომ არაფერი გიკეთებიათ! ყველაფერი დაანგრიეთ, ძველი კავშირები დაარღვიეთ, კამხალი არ ააშენებინეთ არავის და მაგისტრალი არ გააყვანინეთ. მე რა ვქნა ახლა. თქვენს გაფუჭებულ საქმეს ორ დღეში ხომ ვერ გამოვასწორებ!.. ახლა კიდევ ეს ამბავი მინდოდა მე? ქრისტე ღმერთი ხომ არა ვარ, სასწაული მოვახდინო. ბანდიტიზმის თარეში უნდა დამთავრდეს. თვითონ ხალხმა უნდა გამოუტანოს მაგათ განაჩენი (რეპლიკა დარბაზიდან: იტყვი რამეს და გაგიხეთქავენ თავს. თქვენს იმედზე კი ჩემი მტერი იყოს!)... აბა რა გიშველოთ! მე ვიმუშავებ სტრუქტურის დახვეწაზე, ვიმსჯელებ სახანძრო სამსახურის დებულების დაზუსტებაზე. სხვა რა ვქნა... (უკვე თავისთვის ლაპარაკობს). თან მაგ მეხანძრეებით მიდგია სული, თან უკვე ყელში ამომივიდნენ... რა ვქნა... რა მოვუხერხო... რაღა ჩემი გადასაწყვეტი გახდა ეს ყველაფერი... ხალხი რას მიკეთებს... ინტელიგენცია... კულტურა... არა, აღარ მინდა... გადავდგები... თუმცა, რას გადავდგები, მერე სად წავიდე... ეს რა დღეში ჩავვარდი... რა იქნება ეგ ჩემი ცოდვით სავსე მეხანძრეები თავისით გამოსწორდნენ და კანონის ნიმუშოდამცველები გახდნენ?.. მეც დავისვენებდი და თქვენც... მაგრამ ეს ხომ ზღაპარია... მე კი რა ვუყო, რა შემიძლია... არავინ არ მეხმარება... ყველას ჩემი სკამი უნდა. ვერ მივართვი. არსადაც არ წავალ!... ვიქნები და ვიქნები... თუმცა ასეთი ყოფნა და არყოფნა ხომ სულერთია... რა ვქნა... რა დავაშავე... ნეტავი ღმერთმა ასე მწარედ რატომ დამსაჯა... ერთი იმპერია დავშალე, მეორე გავაერთიანე... ეს მეხანძრეები რა გამიხდნენ... არა, აღარ მინდა... ყველაფერზე უარს ვამბობ... მე ხომ დემოკრატი ვარ... ყველასთვის სიკეთე მსურს... სიკეთე, მაგრამ პასუხი ხომ უნდა აგოს დამნაშავემ ქვეყნისა და ერის წინაშე.

ამიტომ კატეგორიულად მოვითხოვ დღესვე განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან ქალაქის პროკურორი, პოლიციის უფროსი და ბრინჯის ქარხნის უფროსი.

(გონს მოეგება) აი, ასე, არავისაც არ შერჩება კანონის ხელყოფა...

დ.ზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გვეგონა, მძაფრი ანტიკომუნისტური ბრძოლების შემდეგ, როცა ქართველმა ერმა მეტ-ნაკლებად სწორი ინფორმაცია მიიღო თავისი წარსულის შესახებ, წარსულის, რომელსაც თავდაყირა აყენებდა კომუნისტური იდეოლოგია და ისტორიოგრაფია, თუ კიდევ მოგვიწევდა იმის საჯარო მტკიცება, რომ რუსეთთან ურთიერთობის ამ ორასი წლის მანძილზე საქართველოს ხვედრი მხოლოდ უბედურება იყო.

ჩვენი დროის რუსეთუმეებმა ეს საკითხი ხელახლა გვიქციეს განსჯის საგნად. მათ ვთხოვთ, არგუმენტირებულად დაწერონ და დაუსაბუთონ მათ მიერ არაერთგზის მოტყუებულ მკითხველს, იმ „პროგრესული" როლის შესახებ, რუსეთთან საქართველოს „შეერთებამ" რომ ითამაშა.

სხვათაშორის, ჩვენც გვაინტერესებს რა ფაქტებს ეყრდნობა ეს ხალხი.

თითქოს ტრივიალურია ის ჭეშმარიტებები, რაზეც ქვემოთწარმოდგენილ წერილშია საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ ამ ფაქტების გახსენება დრომ ისევ დღის წესრიგში დააყენა.

„საქართველოს" რედაქცია

ვახტანგ გურული

# რუსეთთან ერთად...

## წერილი მეორე




მ. აბაშიძის ნახატი

ქართველი ხალხის მიერ შეუწყნარებლობა რუსეთის სახელმწიფოებრიობისა

არჩილ ჯორჯაძე

სვეტიცხოვლის ტაძარში ერეკლე მეორის ცხედარი ჯერ არცკი გაციებულიყო, როცა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1801 წლის 12 სექტემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ. მართალია რუსეთის დიპლომატია და დაზვერვა ჯერ კიდევ გიორგი XII (1798-1800) სიცოცხლის წლებში მართავდა სიტუაციას, მაგრამ რუსეთის სამეფო კარი მაინც მოერიდა მანიფესტის თბილისში დაუყოვნებლივ გამოცხადებას. მანიფესტი რუსეთის ჯარებით გარსშემორტყმული სიონის ტაძარში მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს იქნა წაკითხული.

უმძიმესი წუთები იდგა. ქართველი ხალხი ეთხოვებოდა თავისი ისტორიის ყველაზე დიდ მონაპოვარს — სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მანიფესტის წაკითხვისთანავე თბილისი და შემდეგ მთელი ქართლ-კახეთი საოკუპაციო პირობებში აღმოჩნდა. ყველაზე მოწინავე ადამიანებსაც კი ვერ გაეაზრებინათ როგორ განხორციელდა ქვეყნის დაპყრობა. რაც მთავარია, არავინ იცოდა რა უნდა ეკეთებინათ, როგორ უნდა გადაერჩინათ ქვეყანა. დიდი დაბნეულობა სუფევდა სამეფო სახლის წარმომადგენელთა შორის. ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრებმა მხოლოდ 1802 წლის ზაფხულში შესძლეს ქვეყნის ხსნის მიზნით მოძრაობის ორგანიზება, მაგრამ რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებასა და ჯარს ოდნავაც არ გასჭირვებია ამ მოძრაობის ნეიტრალიზება. ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში რუსეთის რეგულარული არმიის სულ ახალი და ახალი ძალები შემოდიოდნენ. რუსული საოკუპაციო ხელისუფლება ძალას იკრებდა.

რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო დაიპყრო. მაგრამ ეს არ იყო მარტო ქართლ-კახეთის ტრაგედია. რუსეთს ხელ-ფეხი გაეხსნა მთელს საქართველოში. ცხადია ქართლ-კახეთის სამეფოზე გაცილებით სუსტი იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და სვანეთის სამთავროები რუსეთის იმპერიას ვეღარ დაუმაგრდებოდნენ. მათი ბედიც გადაწყვეტილი იყო.

ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარია, თუ რატომ ჩაბარდა ქართლ-კახეთის სამეფო ასე უმტკივნეულოდ რუსეთს. უმთავრესი მიზეზი ქართლ-კახეთის ადვილად დამორჩილებისა მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთის დიპლომატიამ და დაზვერვამ ერეკლე მეორის სიცოცხლის ბოლო წლებიდანვე დაიწყო დიდი მუშაობა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოშლისა და ქართული ჯარის დასუსტების მიზნით. წარმატებით მოქმედებდა რუსეთის დიპლომატია ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრთა შორის განხეთქილების ჩამოგდების მიზნით. ჯერ დადგენილი არ არის სიჩლუნგისა თუ ღალატის შედეგი იყო ქართველ დიპლომატთა აბსოლუტურად ინერტული მოქმედება რუსეთის სამეფო კარზე. რამდენადაც შესანიშნავად მოქმედებდა რუსეთის დიპლომატია და დაზვერვა თბილისსა და თელავში, იმდენად უუნაროდ მოქმედებდნენ ქართველი დიპლომატები პეტერბურგსა და მოსკოვში. მათ წინასწარ ვერ ამოიცნეს რუსეთის დიპლომატიის ვერც ერთი მორიგი სვლა.

ის, რაც რუსებმა შესძლეს ქართლ-კახეთში, ვერ შესძლეს იმერეთის სამეფოში. სოლომონ მეორე რუსეთს შეხვდა როგორც დამპყრობელს. გმირი მეფის უთანასწორო ბრძოლას შთამომავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს არ იყო მეფის ახირება, ან აუცილებელი ბედის თავიდან აცილების ცდა. ბრძოლები იმერეთის სამეფოსა და რუსეთის ჯარებს შორის 1810 წელს წარმოადგენდა საქართველოს მოწამებრივი ისტორიის ლოგიკურ გაგრძელებას.

ისინი ვინც პეტერბურგში საქართველოს კოლონიზაციის გეგმებს ადგენდნენ, უთუოდ ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ. მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა მხოლოდ დაბალი სოციალური ფენების (გლეხობა, ხელოსნები და სხვ.) მდგომარეობა გახადა აუტანელი. კოლონიურმა რეჟიმმა ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მთელი ქართველი ერი, ყველა სოციალური ფენა: ბაგრატიონთა სამეფო სახლი, თავადები, აზნაურები, ქართული სამღვდელოება, გლეხობა, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები. თავადებისა და აზნაურების უზარმაზარი ფენა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ფუნქციადაკარგული აღმოჩნდა. დიდი ისტორიული ტრადიციების მქონე სოციალური ფენა — ქართველ ფეოდალთა კლასი, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქართულ სახელმწიფოში (ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი აპარატი, სასამართლო, ხაზინა, ჯარი და სხვ.) ყველაფრიდან ჩამოცილებული აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ბევრი ძირძველი ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელს აზნაურისა და თავადის წოდებაც კი სადაო გაუხადა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს სამღვდელოება. 1811 წელს გაუქმებულ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიის ნაწილად იქცა და მისი მართვა-გამგეობა ეგზარქოსს ჩააბარეს. საქართველოს ეგზარქოსს რუსეთის სინოდი ნიშნავდა. დაიწყო ქართული ეკლესიის მატერიალური გაღატაკებისა და იდეური დაკნინების ხანგრძლივი პროცესი. 1811 წელს საქართველოს ეკლესიას ჰქონდა 15 ეპარქია, 1908 წლისათვის კი მხოლოდ — 5. 1811 წლიდან დაიხურა 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია. რუსეთის ხაზინამ მიითვისა 150 მილიონ მანეთად ღირებული ქართული ეკლესიის ქონება, მათ შორის ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები (ხატები და სხვ.). ქართულ ეკლესიაში შეწყდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. დაიწყო ქართველი მღვდლების დევნა-შევიწროვება და მათი შეცვლა რუსებით. თბილისის სიონისა და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრებში ღვთისმსახურება რუსულ ენაზე წარმოებდა. უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხობა. სულ რაღაც ოცდაათ წელში მათ ზურგზე გადაიარა ოთხმა ომმა ირანთან და თურქეთთან. წარმოუდგენლად მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას რუსეთის ხაზინის გადასახადი. კოლონიური რეჟიმი შეეხო მთელ ქართულ სინამდვილეს, ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ყველა სფეროს.

რუსეთის კოლონიური სისტემა თავისი ხასიათით ძალზე რთული, კარგად დახვეწილი და შორს გამიზნული იყო. რუსეთის სამეფო კარი პირველ რიგში შეეცადა საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას. რუსეთ-თურქეთის 1829—1830 წლების ომის შემდეგ საქართველოში ჩამოასახლეს დიდი რაოდენობით სომხები და ბერძნები. რუსეთიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩამოსახლება დაიწყეს რუსმა სექტანტებმა (სტაროვერები, დუხაბორები და სხვ.). საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად რჩებოდა ჩინოვნიკებისა და სამხედრო პირების დიდი რაოდენობა. კოლონიური ადმინისტრაცია დიდად უწყობდა ხელს გერმანელთა ჩამოსახლებას თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ცხადია უცხოტომელები კოლონიური ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ასე ნელ-ნელა იზღუდებოდა ქართველთა საარსებო სივრცე საქართველოში.

რუსეთის კოლონიური ხელისუფლება პირველი ხანებიდანვე შეეცადა, რომ საქართველოს ეკონომიკა ქართველთა ხელში არ აღმოჩენილიყო. დღეს ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ საქართველოს ბურჟუაზია არ ჰყავდაო. ან კი საიდან უნდა ჰყოლოდა? კოლონიურმა ხელისუფლებამ ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ მთელი ეკონომიკა უცხოტომელთა გამგებლობაში ყოფილიყო. მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ახალისებდა სომხებს, თურქებს, ბერძნებს. მთელი აღებ-მიცემობა მათ ხელში იყო. ეს კი საუკეთესო საშუალება იყო კაპიტალის დაგროვებისა და მოგვიანებით (XIX საუკუნის ბოლო — XX საუკუნის დამდეგი) მთელი მრეწველობისა და ვაჭრობის ხელში ჩაგდებისათვის. იმოდენა შეღავათები, რომელიც თავის დროზე ხელისუფლებისაგან თბილისის გერმანულმა კოლონიამ მიიღო, ქართველ ხელოსნებსა და წვრილ მეწარმეებს რომ მიეღოთ, აუცილებლად შეიქმნებოდა ქართული წვრილი ბურჟუაზიის ძლიერი ფენა — საქართველოში ქართველთა ხელში რჩებოდა მიწა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა. ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე ქართული ფეოდალური კლასი მიწას თანდათან კარგავდა და იგი ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა. ეს პროცესი საკუთრივ ველიკოროსიაშიც შეიმჩნეოდა იმ განსხვავებით, რომ იქ მიწა რუსი თავადაზნაურობის ხელიდან ძირითადად ისევ რუსი ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა, საქართველოში კი მიწას უცხოტომელი და უმთავრესად სომხური ბურჟუაზია ეუფლებოდა. სომხური ბურჟუაზია ფაბრიკა-ქარხნებში მეტწილად სომეხი ეროვნების მუშებს ასაქმებდა. სოფლიდან ჩამოსული ქართველი გლეხი თბილისში სამუშაოს ვერ პოულობდა, თბილისის მოსახლეობა უცხოტომელების, ძირითადად სომხების ხარჯზე იზრდებოდა. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმის ეპოქაში არსებობდა საქართველოს ეკონომიკა, მაგრამ არ არსებობდა ქართული ეკონომიკა.

საქართველოში განათლების სისტემის რუსიფიკაციით კოლონიური ხელისუფლება ცდილობდა გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა ეროვნული ცნობიერებისათვის მოსახლეობის ყველა ფენაში. სასწავლო გეგმები, სახელმძღვანელოები, პედაგოგიური კადრები ისე იყო შერჩეული, რომ ბავშვი ნელ-ნელა მოეწყვიტათ ქართული სინამდვილისათვის. ქართველ ბავშვს უნდა ეაზროვნა არა ქართულად, არამედ რუსულად და, თუ ეს საქართველოში არსებულ სხვადასხვა დონის სკოლებში (სასწავლებლებში) ბოლომდე ვერ მოხერხდებოდა, მაშინ ქართველი ახალგაზრდის ცნობიერება დიდ ფსიქოლოგიურ დაწოლას განიცდიდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ქართული სკოლის, ქართული პრესის, ქართული წიგნის, ქართული თეატრის არარსებობის პირობებში ძნელი იყო ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება იმ ხალხშიც კი, რომელიც ოც საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე იბრძოდა ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად.

კოლონიური ხელისუფლება ძლიერ ბერკეტებს ფლობდა, ქართველ ხალხს წინააღმდეგობის გაწევის თითქმის არავითარი საშუალება არ გააჩნდა. საქართველოში დამკვიდრებისთანავე რუსეთის სამეფო კარმა ქართული სამართალი (ვახტანგ VI სამართალი) შეცვალა რუსული სამართლით. მოსახლეობის ყველა ფენა ჩავარდა გამოუვალ მდგომარეობაში: არც თავადმა, არც აზნაურმა და არც გლეხმა არ იცოდა ის ენა, რომელზეც კანონი იყო დაწერილი და რაც მთავარია ვერ აღიქვამდა სრულიად უცხო გარემოში შექმნილი კანონის არსს. ბევრია დაწერილი იმის შესახებ) თუ რა ძნელი (პრაქტიკულად შეუძლებელი) იყო რუსეთში სამართლის პოვნა. წარმოუდგენლად ძნელი იყო სამართლის პოვნა საქართველოში. კოლონიური ხელისუფლების ბიუროკრატიული აპარატი, არა მარტო სასამართლო სისტემა, არამედ მთელი ბიუროკრატიული აპარატი შემოსავლის წყაროდ იხდიდა სამართლის მძებნელი ქართველი კაცის უბედურებას. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უმაღლესი განათლების მიღების, ვაჭრობა-მრეწველობაში მონაწილეობის, სამოხელეო აპარატში სამსახურის მიღების სურვილი ქართველ კაცს აიძულებდა საფუძვლიანად დაეუფლებოდა რუსულ ენას. ყველაფერი მიდიოდა იქითკენ, რომ ქართული ენა პრაქტიკული დანიშნულების არმქონე ენად ქცეულიყო. და როცა გამარჯვება უნდა ეზეიმა, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ სწორედ მაშინ იწვნია უდიდესი მარცხი. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" და დიდი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენამ" სულ ერთიანად წყალში ჩაუყარეს კატკოვებს, იანკოვსკებსა და ვოსტორგოვებს რამდენიმე ათეული წლის „ნაღვაწი". სამოციანელთა დიდმა თაობამ ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით ქართული ენისათვის ბრძოლა მოიგო და ამით სერიოზულად შეარყია რუსეთის კოლონიური რეჟიმის საფუძველი საქართველოში.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ეროვნული მოძრაობა. კომუნისტური ისტორიოგრაფია გვარწმუნებდა, რომ ეროვნული მოძრაობა საქართველოში იწყებოდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის და საერთოდ სამოციანელთა (ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ.) ხელმძღვანელობით. როცა ამ სქემას იძლეოდა, კომუნისტურ ისტორიოგრაფიას ილიას განდიდება არ ჰქონდა მიზნად. კომუნისტურ ისტორიოგრაფიას სურდა მკვლევართა მხედველობის არედან „დაეკარგა" XIX საუკუნის პირველი ნახევარი, ანუ პერიოდი რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ეროვნული მოძრაობის დასაწყისისა: 1802 წლის შეთქმულება, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819—1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში, 1832 წლის შეთქმულება, 1841 წლის გურიის აჯანყება. მაინც რატომ ცდილობდა ეროვნული მოძრაობის ამ უწყვეტი ჯაჭვის მიჩქმალვას კომუნისტური ისტორიოგრაფია? კომუნისტური ისტორიოგრაფია აღიარებდა, რომ საქართველოს „შეერთება" რუსეთთან პროგრესული მოვლენა იყო და მას მიესალმა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა. ამ დებულებას მთლიანად აცლიდა საფუძველს ზემოთ ხსენებული აჯანყებები. ბუნებრივია ისმოდა კითხვა: ვის და რატომ უჯანყდებოდა ქართველი ხალხი? არ უნდოდა რა ეღიარებინა XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჯანყებათა ეროვნული ხასიათი, კომუნისტური ისტორიოგრაფია გვარწმუნებდა, რომ 1802 წლისა და 1832 წლის შეთქმულებები რეაქციული თავადაზნაურობის იდეოლოგიით მომზადდა, ხოლო 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819—1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში, 1841 წლის აჯანყება გურიაში გლეხთა სოციალურ მოძრაობას წარმოადგენდაო, რომელიც თითქოს ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. სასაცილოა კომუნისტური ისტორიოგრაფიის „არგუმენტები". თუ 1804 წელს მთიულები ბატონებს აუჯანყდნენ, თავიანთ ბელადად ფარნაოზ ბატონიშვილს რატომ სახავდნენ? ან 1812 წელს აჯანყებული კახელები შველას რატომ თხოვდნენ იულონ ბატონიშვილს? ამ ორი ბატონიშვილიდან რომელი გამოდგებოდა გლეხთა ომის ბელადად? თავიანთ ბატონებზე გამწყრალი გურულები 1841 წელს შველას რატომ თხოვდნენ ქობულეთის ბეგს ჰასან თავდგირიძეს? გლეხთა ომის ბელადად ცხადია არც ის გამოდგებოდა. რაც შეეხება იმერეთის აჯანყებას 1819—1820 წლებში, იგი თავიდან „ცერკოვნი ბუნტის" სახელით იყო ცნობილი. ეს აჯანყება ხომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა, ხოლო უშუალო საბაბს რუსი ეგზარქოსისა და საპოლიციო აპარატის მოხელეთა გაუგონარი მკრეხელობა წარმოადგენდა. ცხადია XIX საუკუნის პირველი ნახევრის შეთქმულებები და აჯანყებები, თავის ხასიათით უთუოდ პროგრესული, წარმოადგენდა არა სოციალურ მოძრაობას, არამედ რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ მოძრაობას. სხვა საკითხია როგორ და რა დონეზე იყო დახვეწილი და ჩამოყალიბებული შეთქმულთა და აჯანყებულთა პროგრამები. მთავარი აქ ისაა, რომ, თუ ქართველ ერს დედამიწის ზურგზე არსებობის უფლება ჰქონდა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისათვის აუცილებლად უნდა ეპასუხა ეროვნული მოძრაობით. ქართველმა ერმა დაამტკიცა, რომ მას არსებობის უფლება ჰქონდა. ესაა სწორედ უმთავრესი დასკვნა, რომელიც ჩვენ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველი ორმოცდაათწლეულიდან უნდა გამოვიტანოთ.

ტალახსა და წუმპეში ნელა მოხოხავე რუსულ ოთხთვალას ძალად ადევნებული ქართველი ერი წინასწარმეტყველის მოლოდინში იყო.

იგი უკვე დაბადებული იყო და განგებისაგან განსაზღვრული მისიის აღსრულებისათვის ემზადებოდა.

მისი სახელი იყო ილია.

## დეპუტატ დავით ბერძენიშვილს ნამდვილად ჰქონია ჩაფიქრებული ტერორი ბატონ ასლან აბაშიძის სიცოცხლის ხელყოფისათვის, ანუ გველი უბეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შტრიხები ერთი ტერორისტის პორტრეტისათვის

მეორე გვერდიდან

სერია, რომელიც პირდაპირ გვაოცებს თავისი თავხედობით და მასშტაბურობით. კერძოდ, დანამდვილებით დადგენილია მისი მონაწილეობა მთავრობის სასახლის წინ მდგარი სკულპტურული კომპლექსის ლიკვიდაციაში, მაგრამ ბერძენიშვილის საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიით: მან დანაშაულებრივი კავშირი გააბა პალესტინის განთავისუფლების შიიტურ ორგანიზაცია „ჰესბოლასთან", ასევე დაუკავშირდა ცნობილ სამხრეთამერიკელ ტერორისტს, მეტსახელად „ილიჩს". აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს ისრაელის „მოსადისა" და დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო ТУ–И-ის მონაცემებით ბერძენიშვილის საერთაშორისო „მოღვაწეობის" შედეგია თორმეტი (12) ტერორისტული აქტი, მათ შორის ფლორენციის რკინიგზის სადგურის აფეთქება, ათენი-პარიზის თვითმფრინავის გატაცება მძევლად აყვანით, აგრეთვე თავდასხმა ცნობილი მწერლის, „სატანური სურების" ავტორის, სალმან რუშდის ოჯახზე.

მაგრამ რაოდენ მასშტაბურიც არ უნდა ყოფილიყო ქართველი ტერორისტის საერთაშორისო კონტაქტები, მას გული მაინც მშობლიური კუთხისკენ მიუწევდა. მოქ. ბერძენიშვილისთვის უბრალოდ აუტანელი გახდა ის სიმშვიდე, სტაბილურობა და ეკონომიკური კეთილდღეობა, რომელიც აჭარაში სუფევს ბ-ნი ასლან აბაშიძის უშუალო დირექტივების მიხედვით.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმატებული ტერორისტული აქტებისგან თავბრუდახვეულმა ბერძენიშვილმა გადაწყვიტა აჭარაში სტაბილურობის ერთადერთი, შეუცვლელი და განუმეორებელი გარანტის, ასლან აბაშიძის ფიზიკური მოსპობა. ამ მიზნით ბათუმში გაიგზავნა დაქირავებულ მკვლელთა მთელი არმია, შეიარაღებული უახლესი ტექნიკით, ჯავშანჟილეტებით, აკვალანგებით, ლაზერულსამიზნიანი შაშხანებითა და მოწამლული ტყვიებით; მაგრამ ამჯერად, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. აღმოჩნდა, რომ ბ-ნ ასლანის ლიკვიდაცია დაუპირებია თვით უშიშროების სამსახურის ამჟამინდელ შეფს, იგორ გიორგაძესაც, რომელიც თურმე ორი წელიწადია გულმოდგინედ ემზადებოდა ამ აქციისთვის. ორი ტერორისტული ჯგუფის ურთიერთშეუთანხმებელმა მოქმედებამ გამოიწვია თავდაპირველი ჩანაფიქრის ჩაშლა. აქცია გადაიდო. სამაგიეროდ „ჩავარდა" ბერძენიშვილის მიერ დაქირავებული ერთ-ერთი „ბოევიკი", გვარად საითიძე. ეს უკანასკნელი ისე მოიხიბლა აჭარის დღევანდელი ხელისუფლების გულთბილი მასპინძლობით, რომ სინდისმა შეაწუხა და სათანადო ანაზღაურების საფასურად განზრახული ბოროტმოქმედების აღიარებაზე ნებაყოფლობით და საკუთარი ინიციატივით დათანხმდა...

როგორც ვხედავთ, და იმედია მკითხველიც დაგვერწმუნება, გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ნამდვილად არ მჯდარა გულხელდაკრეფილი „კავკასიონის" მამხილებელი პუბლიკაციის შემდეგ. აქვე გვინდა მკითხველის ყურადღება ერთ საყურადღებო ფაქტზეც შევაჩეროთ: მას შემდეგ,რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიების დაწყების თაობაზე, რედაქციის ხშირი სტუმარი გახდა ბ-ნი თამაზ დიასამიძე, პარლამენტის დეპუტატი აჭარიდან, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისა და ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი. იგი ცხოველ დაინტერესებას იჩენდა ძიების მიმდინარეობით, თან საკმაოდ შეფიქრიანებულიც ჩანდა. ბოლო დროს კი უკვე აშკარად დაეტყო ნერვიულობისა და შიშნეული მღელვარების ნიშნები... ისმის კითხვა, რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილია დეპუტატ დიასამიძის დაუოკებელი სწრაფვა აჭარაში არეულ-დარეულობისა და დესტაბილიზაციისკენ, ხომ არ არის იგი ბერძენიშვილის გასაიდუმლოებული ტერორისტული დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი, რომელსაც საითიძის პარალელურად ევალებოდა აბაშიძის ლიკვიდაცია პირდაპირ აჭარის უზენაესი საბჭოს პლენარული სხდომის დროს (მადლობა ღმერთს, ამ უზენაესი საბჭოს ფუნქციონირება ბ-ნმა ასლანმა დროზე შეაჩერა!)? ყოველ შემთხვევაში ეს ამბავი ჯერ კიდევ გამოსარკვევია და ამიტომ ნაადრევი დასკვნებისგან თავს ვიკავებთ.

ერთი რამ კი გადაჭრით შეიძლება ითქვას: ჩვენ შეძრწუნებული ვართ იმ ფაქტებით, რომლებიც სააშკარაოზე იქნა გამოტანილი. რედაქცია თავის რიგებში ვერ აიტანს ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს, თუმცა მგელი კი არა, როგორც იტყვიან, გველი გაგვიზრდია უბეში და ეს არის... თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. მოკვლეული მასალები აუცილებლად გადაეცემა კომპეტენტურ ორგანოებს და იმედია ოპოზიციონერ დეპუტატთა კრიმინალური საქმიანობით ფრიად დაინტერესებული საქართველოს პროკურატურაც თავის სიტყვას იტყვის...

გაზეთ „საქართველოს" რედაქტორის ბრძანებით რედაქციის საგამომძიებო ოპერატიულ ჯგუფს დაევალა ფხიზლად ადევნონ თვალი სარედაქციო კოლეგიის სხვა წევრებსაც — ნოდარ ნათაძეს, რომან გოცირიძეს, ივლიანე ხაინდრავას, თედო პაატაშვილს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიკოს შოთა ნადირაშვილს... რათა დროულად იქნენ ისინი გამოაშკარავებულნი და ისეთი სამარცხვინო საქმე არ დაგვემართოს, რაც ჩვენს რიგებში შენიღბული ტერორისტის დავით ვალერიანის ძე ბერძენიშვილის შემოპარვამ გამოიწვია.

რედაქციის
ოპერატიული
საგამომძიებო ჯგუფის
მასალები წარმოადგინა
**ზურაბ დავითაშვილმა**

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 2. ხუროთმოძღვრება 6. საფორტიფიკაციო ნაგებობა. 7. თანაზომიერება, პროპორციულობა. 9. კინოფილმის ცალკე სცენა. 10. შალის ან ბამბის ქსოვილი. 11. შემოქმედის მხატვრული თავისებურება. 15. საბჭოთა ფიზიკოსი, აკადემიკოსი 17. სახურავი მასალა, ფისით გაჟღენთილი მუყაო. 18. სითხის მოსასხურებელი ხელსაწყო. 19. ძელი, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში, როგორც მზიდი კონსტრუქცია. 20. სართულებს შორის დამაკავშირებელი ნაგებობა. 23. დისტანციის ცალკეული მონაკვეთი 26. წოდება ფეოდალურ ევროპაში 27. კაპიტელის ზედა ნაწილი 30. თანაბარი სიმაღლის წერტილების შემაერთებელი ხაზი რუკაზე, ჰორიზონტალი. 31. მოწმობა სწავლის დამთავრების შესახებ 32. მეცნიერება, რომლის ამოცანაა ძველი ხელნაწერების მომზადება გამოსაცემად.

**ვერტიკალურად:** 1. სასპორტო ნაგებობა 2. ერთ გრძივ ღერძზე განლაგებული ოთახების რიგი, დაკავშირებული კარებებით. 3. სულთანატი წინა აზიაში მე-12-13 სს. 4. შენობაზე მიშენებული ბაქანი, აივანი. 5. კომპოზიციურად რთული ორნამენტი. 6. გარეუბანი აღმოსავლეთის ქვეყნების ქალაქებში. 8. გვიანდელი კლასიციზმი არქიტექტურაში. 11. ადგილი მცენარეების გამოსაყვანად. 12. ეპისკოპოსი. 13. რუხი მოყავისფრო საღებავი. 14. პარაპეტი, შენობის მაგვირგვინებელი კარნიზის თავზე აღმართული. 16. ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული. 19. იაპონური კლასიკური თეატრის სახეობა. 21. ნაგებობა სადაც აგებენ გემებს. 22. სწორკუთხედის ფორმის შენობა დაყოფილი ნავებად. 24. წყალქვეშ სასუნთქი მოწყობილობა. 25. სხვენში მოთავსებული სადგომი, ოთახი. 28. ელინისტური ეპოქის დიდი მოქანდაკე. 29. მრუდხაზოვანი სივრცითი კონსტრუქცია. გადახურვა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**ჰორიზონტალურად:** 5. ქონდარი 6. სალომეა 7. გენუა 10. ხრამი 12. ტურგენევი 13. ეშმაკი 14. ირონია 15. ურიკა 17. იმედი 21. კოლონია 24. სია 25. ზნე 27. ქორი 28. ენერგია 29. ეტლი 30. ალი 31. რძე 32. არფისტი 35. ჯართი 37. ლობიო 40. ონეგა 43. ელენთა 45. ისააკი 46. რომანისტი 47. ირანი 48. არაბი 49. არგვეთა 50. სიცილია.

**ვერტიკალურად:** 1. ბომარშე 2. ფრანკი 3. ვარამი 4. ვეროკიო 7. გრამი 8. ატამი 9. კეტი 10. ხრამი 11. ილოტი 15 ურო 16. ავი 18.მელპომენა 20. ნიკოლაევი 21. კამელია 22. ოტარიდი 23. აზნაური 24. სკოლა 26. ელენე 33. რტო 34. ტბა 35. ჯანღი 36. ისარი 37. ლიბია 38. ოთახი 39. ფლობერი 41. ეტნა 42. ეკლესია 44. ასანთი 45. იტალია


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე,
თამაზ დიასამიძე, გელა ეგანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი)
მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი,
ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1000 რუბლი შ. კ. კუპონებში

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე:
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99
განყოფილებები:
93-18-41